# დროება

№ 68 შაბათი, 27 მარტი 1910 წ. № 68

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ, ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „დროების" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7 მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს სულ არ ინახება ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება [illegible] ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი ფოდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭБА".

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ



კვირას, 28 მარტს,

გიორგი (გილო) ვახტანგის ძის მაჩაბელის

გარდაცვალების ექვსი თვის თავზე, ჩუღურეთის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი იმის სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის უსაზღვროდ მწუხარე დედა, ცოლი, დები და ძმები. (2—207—1)

23 მარტს ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

ანდრია სპირიდონის ძე ქვარიანი,

რასაც უზომო მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ **დედა ივლიტა სიმონის ასული**, ძმები **კონსტანტინე** და **სიმონ სპირიდონის ძენი ქვარიანები**, დები **ნინო სპირიდონის ასული ლორთქიფანიძისა**, **ვერა სპირიდონის ასული ნანეიშვილისა**, **ემალია სპირიდონის ასული ქვარიანი** და **რძალი ნინო ლუკას ასული ქვარიანისა**. გამოსვენება საკუთარ სახლიდან, პოლიციის ქ. და დაკრძალვა საფიჩხიის სასაფლაოზე კვირას, 28 მარტს, ნაშუადღევის 4 საათზე. პანაშვიდი ყოველ დღე 5 ს. შაბათს და კვირას. (2—კვ.—1)

**ქვრივი ფილომენა ვორონოვსკაია**, **სტეფანე** და **მარიამ ფეიქაროვები** ოჯახითურთ გულითად მადლობას უცხადებენ ყველა იმათ, ვინც წერილობით, ტელეგრამებით და პირადის თანადასწრებით პატივი სცა და ანუგეშა ისინი პირველის ქმრის და დანარჩენების სიძის **ვიტოლდი ფლორიანოვიჩ ვორონოვსკის** უდროოდ გარდაცვალებისა გამო. (1—კვ.—1)

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 8 აპრილს, 1910 წ.

**ქართულ თეატრის კაპელდინერების სასარგებლოდ**

ნ. გაბუნია-ცაგარლის, ვ. აბაშიძის და სხვების მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

ალლუმი

მხიარული კომედია 4 მოქმედ. ვ. გუნიას მიერ გადმოკეთებული.

მონაწილეობენ: ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ა. კარგარეთელი, მ. ვიქტორელი, ნ. გამყრელიძისა, ვ. ნებიერიძისა, ბ. ასათიანი, ვ. აბაშიძე, ვ. გუნია, გ. გედევანოვი, ვ. გამყრელიძე, ა. იმედაშვილი, გ. იშხნელი, დ. მგალობლიშვილი, შ. საფაროვი და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. —— დასაწყისი საღამოს $8^{1}/_{2}$ საათზე.

რეჟისორი **ვალ. გუნია**. (3—1)

ქართული თეატრი

ორშაბათს, 29 მარტს, **მ. მ. საფაროვ-აბაშიძისა** გამართავს წარმოდგენას. **მ. ნ. გაბუნია-ცაგარლის, მ. მ. საფაროვ-აბაშიძის, ვასო აბაშიძის, კ. ყიფიანის** და სხვათა მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

ხათაბალა

კომედია 4 მოქმ. და 5 სურათად გ. სუნდუკიანცისა.

მოთამაშენი: ქ-ნნი ნ. მ. გაბუნია-ცაგარელი, მ. მ. საფაროვი-აბაშიძე, ნ. გამყრელიძე, ვ. ნებიერიძე, ბ-ნნი ვ. აბაშიძე, კ. ყიფიანი, ა. იმედაშვილი, შ. საფაროვი და სხვ.

**ადგილების ფასი 1 მანეთიდან ვიდრე 4 მან. გალერეია 25—60 კაპ. ლოჟები 7 მანეთიდან 12 მანეთამდე.**

**დასაწყისი საღამოს $8^{1}/_{2}$ საათზე.**

(4—2) რეჟისორი **ვ. აბაშიძე.**

ქართული თეატრი

შაბათს, 27 მარტს, 1910 წელს

გრიგოლ რობაქიძე

წაიკითხავს ქართულად საჯარო ლექციას ამ თემაზე

„რელიგია მშვენიერებისა"

(მეხაზეზ ოსკარ უაილდის შემოქმედებისა)

პროგრამმა ლექციისა:

**შესავალი.—ცხოვრება და შემოქმედება.—სიყვარული და უკვდავება.—მხატვრული სახე, როგორც სიმბოლო უკვდავისა და მარადისა.—უაილდის ესთეტიური თეორია.—ზღაპრები უაილდისა.—დრამა „სალომე" (სიყვარული და სიკვდილი)—რომანი „დორიან გრეი" (ტრაგედია მშვენიერი სიცოცხლისა)—სულიერი დრამა უაილდისა. (თხზულება „De profundis") მნიშვნელობა უაილდისა:**

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში.

**დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზე.** (3—6.—2)

სახაზინო თეატრი

დღეს, 27 მარტს, საღამოს 8 საათზე პეტერბურგელი ლიტერატორი და ლექტორი

ნ. ი. აბრამოვიჩი

წაიკითხავს უკანასკნელ ლექციას

„ვ. თ. კომისარჟევსკაია და თანამედროვე თეატრი"

დაწვრილებით პროგრამებში.

ადგილების ფასი ძალზე დაკლებულია.

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში. (6—6.—6)

სავაჭრო სახლი ი. გოკიელოვის შ-ბი

ქუთაისში

ამით აცხადებს, რომ მათ მიიღეს განსაკუთრებითი უფლება გაყიდვის რამდენიმე წლით საუკეთესო ხარისხის **ცნობილი ფირმის ხ. ს. ხრისტოდულიდის აბრეშუმის თესლისა**, მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ მათ საკუთარ სავაჭროში ქუთაისში. რადგანაც თესლი შემზადებულია საგანგებოთ ქუთაისის გუბერნიის ჰავაზე, ამიტომ მყიდველთ უნდა მიაქციონ განსაკუთრებითი ყურადღება კოლოფზე ქართულ ნაწერს და ბეჭედს სავაჭრო სახლი ი. გოკიელოვის შვილებისას. (45—151—38)

გამგეობა „ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობისა"

ამით აცხადებს, რომ წელს ამხანაგობას აქვს შეძენილი საგანგებოთ დაკვეთილი და წარსულ წლებში გამოცდილ **აბრეშუმის ჭიის თესლი ძმ. პასხალიდის** ფირმისა.

მსურველთ შეუძლიანთ შეიძინონ თესლი შემდეგ ადგილებში:

1. **ს. კუხში**—ამხანაგობის სამმართველოს ფარდულში; 2. **ბათუმში**—თვით მეთესლეს წარმომადგენელ მანუილიადისთან და მათე რუხაძესთან; 3. **ქუთაისში**—კანტორა **„იმერეთში"** და კიწმარიშვილის თესლეულობის მაღაზიაში; 4. **ახალ-სენაკში**—ვარლამ ჩაჩიბაიასთან; 5. **სამტრედიაში**—პორფილე ქეიშვილთან და აგრეთვე ქუთაისის მაზრის ყველა დაბებში და ლეჩხუმში. (6—კვ.—5)

კავკასიის სამთო გამგეობა

აცხადებს, რომ ამა **1910** წლის **26** აპრილს ქუთაისში, კავკასიის სამთო გამგეობის უფროსის თანაშემწის, დეისტვიტელნი სტასტსკი სოვეტნიკის ჩენგერის თავმჯდომარეობით, მოწვეული იქნება შორაპნის მაზრის შავი ქვის მრეწველთა მე-**XIII** მორიგი კრება.

განსახილველი საგნები:

1. არჩევა კრების მდივნისა.
2. განხილვა ანგარიშისა: ა) კრების საბჭოსი 1908 და 1909 წ.; ბ) სარევიზიო კომისიისა და გ) ჭიათურის შტოზე პლატფორმებისა და ვაგონების განმანაწილებელ კომიტეტისა.
3. განხილვა შემდეგ სტატისტიკურ ცნობებისა: რა წარმოება იყო მღვიმე-მაღაროებში, რამდენია სათადარიგო ქვა რკინის გზის სადგურებზე და რამდენი ქვა გადის, რა გადასაზიდი საშუალებებია და რა საწყობებია ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე როგორც ჭიათურის შტოზე, ისე მთავარ ლიანდაგზე.
4. მოწყობა კრების ხარჯზე ჭიათურის სამრეწველო რაიონში მექანიკურ ჩამოსაშვებისა ქვის მისატანად რკინის გზის საწყობებში.
5. მღვიმე-მაღაროების უზრუნველ-ყოფა წყლით.
6. ფულით შემწეობა კავკასიაში განზრახულ მომავალ უმაღლესს სასწავლებელს.
7. სუბსიდიის დანიშვნა ინჟენერ-ქიმიკოსის რომანოვის ქიმიურ ლაბორატორიისთვის ქუთაისში.
8. დაარსება ჭიათურაში ქალთა პროგიმნაზიისა.
9. შავი ქვის გადატანის საქმის გაუმჯობესება რკინის გზებზე:
   ა) ჭიათურის ვიწრო-ლიანდაგიან გზის გაკეთება განიერ ლიანდაგად;
   ბ) დაწესება საიჯარო ფასის ნორმალურ რაოდენობისა საწყობ ადგილებში და სხვაგან ჭიათურის შტოს რაიონში.
   გ) გაუქმება მისასვლელ გზებისა ჭიათურისა და ჰქოურის რაიონში.
   დ) გადასასვლელ ხიდის გაკეთება ჭიათურის სადგურზე.
   ე) გამართვა ჩამოსაფარებისა შავი ქვის პლატფორმებზე და რკინის გზის ვაგონების მოწყობა ისე, რომ ქვა არა სველდებოდეს.
   ვ) სხვა საკითხების განხილვა, რომელთაც კავშირი აქვთ შავი-ქვის გადატანასთან.
10. განხილვა და დამტკიცება შავი-ქვის მრეწველთა კრების შემოსავალ-გასავლის აღრიცხვისა 1910 წლისათვის.
11. არჩევა თანამდებობის კაცებისა. (3—6.—2)

ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.

ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს,

ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე ვ. დ.**: შინ. და [illegible] ყ.- [illegible] 1—2 ს. დღე; გარდა კვირა. 11-12 ს.

**გედევანიშვილი მ. ა.** [illegible] ორშ., ოთხშ., და პარ. $10^{1}/_{2}$—11 ს.

**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

**კარშინი. ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^{1}/_{2}$—$3^{1}/_{2}$ ს.

**მაღლაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

**მანსვეტოვი ვ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., დღე, 9—11 ს.

**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.

**მუსხელიშვილი ვ ს.** თვალის, ორშ., ოთხშ. და პარასკ. 2 2-ნახ. ს.

**ფირადოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ-დღე

**პაპოვი გ. ა.** ყურ., ყელის და ცხვი., ყოველ დღე გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

**რცხილაძე. ნ.** კბილ. ყოველ დღე. 9—1 ს.

**სობოლევსკი გ. გ.** ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შელავათ. საფასურით. (200—6.—141)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 696.

**გ. ვაშაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

**ი. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, $11^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

**ვ. ს. მუსხელიშვილი**—სამშ., ხუთშაბ., და შაბათ. 2—$2^{1}/_{2}$ ს. თვალისა.

**ბ. ა. პოპოვი**—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.

**ე. გ. ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტეოროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ებიოპერაცი და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—6.—304)

ექიმი ვასილ წერეთელი ქუთაისში

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოხე ქიქოძის სახლი. (0—უ.—148)

ქუთაისში

კბილის ექიმი ა. ა. ბუტულოვისა

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. და საღამოთი 4—7 ს. მოსწავლენი იხდიან ნახევარს. გიმნაზიის ქ., ა. თუმანოვის სახლი, ბულვარის პირდაპირ. 25—33.—7

ექიმი ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—91

ექიმი სპეციალისტი ქ. ქუთაისში გ. დ. ბეთანოვი

მიიღებს სიფილისით, ვენერიულის და კანის სენით ავადმყოფებს. აფთიაქის და კლუბის ქ. ქ. კუთხეში N 24/2 ყოველდღე დილის 9—12 ს. და საღამოს 5—8 ს. (25—ფ.—23)

ექიმი ვ. ლამბაშიძე

გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ

ექიმი ა ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

ექიმი დ. ახვლედიანი

იღებს ავადმყოფებს. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. საღამოს 5—7 საათზე. ელისაბედის ქ. N 92. წლ

კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—ს.—132)

ექიმი კბილისა რომანიშვილი-დებუაძისა

იღებს ავადმყოფებს 2—6 საათზე. პლომბის გაკეთება, კბილის ამოღება და ხელოვნური კბილების ჩასმა ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასში. მოსწავლე ბავშვებს დაკლებულ ფასებში.

ბინა: ავჭალის ქუჩა, N 34. (50—6.—47

ექიმი კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. ბაღრონის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა, (0—586—397)

ექიმი ქუთაისში ფ. ი. გასნევსკი

იღებს ავადმყოფებს შინაგან სნეულებათა და ბებიაობისას დილით 11—1 საათამდე, საღ., 5—7 საათამდე. კაზაკოვის ქ. N 13. ღარიბებს უფასოდ. (25—კვ.—16)

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა N 25.

ექიმი შ. მიქელაძე

იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ.** საღამოს 5—6 საათზე. ავლაბარი, კაბგეროვის ქუჩა N 17, პროვიანტის მაღაზიის პირდაპირ. ტელეფონი N 816. (0—58)

ექიმი კბილისა ალ. სოლოლაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

ექიმი გაბ. ი. გოკიელოვი ქუთაისში

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილით 9—12 ს. და საღ. $5^{1}/_{2}$—$6^{1}/_{2}$ ს. ვენერიულ ავადმყოფების მიღება, (ელექტრონის საშუალებით ბუშტის და საშარდე მილის გასინჯვა საღამოს $6^{1}/_{2}$—8 ს. ტუბერკულიოთ წამლობა ჰელქიანებისა, ელექტრო-ტერაპია, ელექტრონის ფიბრაციის მასსაჟი. ალექსანდროვის ქ., საკუთარი სახლი. (50—კვ.—33)

ექიმი ქუთაისში კ. თ. ტუღუშელაშვილი

იღებს შინაგან და **სპეციალურად ვენერიულ** სნეულებით ავადმყოფთ (ხუსუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი). დილით 9—12, საღამოთი 5—7 საათ., კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა. (72—კვ.—4)

ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

სახალხო უნივერსიტეტი

კვირას, 28 მარტს,

ზუბალაშვილების სახალხო სახლში

პ. ა. გორგაძევი

წაიკითხავს ლექციას:

„ფუტკრის ოჯახის ცხოვრება"

**დასაწყისი დილის 11 საათზე.**

ფასები 5 კაპ. 10 კაპეიკამდე.

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში. (2—2)

წლიური კრება

**ტფილისის სამეურნეო საურთიერთო ნდობის საზოგადოების წევრთა.**

რადგან 7 მარტს დანიშნული წლიური კრება არ შესდგა წევრთა კანონიერ რიცხვის დაუსწრებლობისა გამო, ამიტომ კვირას, 28 მარტს, დილის 10 საათისთვის დანიშნულია ხელ-მეორე კრება საზოგადოების სადგომში. ეს კრება კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

**განსახილველი საქმეები:**

1) მოხსენება საბჭოსი ანგარიშის გამო; 2) მოხსენება სარევიზიო კომისიისა; 3 ანგარიში 1909 წლისა; 4) სავარაუდო აღრიცხვა ხარჯისა 1910 წლისათვის; 5) მოხსენება ცალკე არჩეულ კომისიისა სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოების დაგირავებით სესხის გაცემის გასაძლიერებლად; 6) მოხსენება საპენსიო წესდების შემუშავების თაობაზედ ბანკში მსახურთათვის; 7) მოხსენება საზოგადოების წესდების § 56 შეცვლის თაობაზედ; 8) არჩევანი გამგეობის წევრისა გ. ყიფშიძის მაგიერ, რომელსაც გაუთავდა ვადა სამსახურისა, საბჭოს დეპუტატისა თ. მიხ. დავ.-ძის ჭავჭავაძის მაგიერ, რომელსაც აგრეთვე გაუთავდა ვადა სამსახურისა, სარევიზიო კომისიის სამის წევრისა და სამის მათის კანდიდატისა. (1—6.—1)


## ბ-ნი ნ. ნიკოლაძე და ქართველ ინტელიგენცია [1]

არის ზოგმა ყალბი ადამიანი, რომელსაც სურს იმათ მოეჩვენოს თავი, რაც არ არის ნამდვილად.

—

ჭეშმარიტებას იმდენი სიკეთე არ მოუტანია ქვეყნისათვის, რამდენი ზარალიც მოუტანია ჭეშმარიტების მოჩვენებას.

(ლაროშფუკო. 7678 წ.)

ამ წერილის სათაურში მოყვანილი დაპირდაპირება თითქო საპაცილოც არის. ბ-ნი ნ. ნიკოლაძე ხომ ერთი იმ ინტელიგენტთაგანია, რომელსაც წილად ჰხვდა ჩვენში იმ დროს მუშაობა, როცა, მგონი, ინტელიგენციის სახელი და ჭაჭანებაც კი არ იყო. უეჭველად იგი იყო კაცი ფრიად მომზადებული და განვითარებული **იმ დროსათვის**, ნიჭიერი და თითქმის ყოველივე იარაღით აღჭურვილი, რაც კი საჭიროა საზოგადო მოღვაწისა და პუბლიცისტისათვის. იგი, ასე ვსთქვათ, ინტელიგენციის მამათ-მთავრად უნდა ითვლებოდეს ჩვენში, ჩვენი წერილის სათაური-კი უპირდაპირებს ბ ნ ნ. ნიკოლაძეს ჩვენს ინტელიგენციას.

სამწუხაროდ, ეს დაპირდაპირება სრულიად კანონიერია და ამ დაპირდაპირებას თვით ბ-ნი ნ. ნიკოლაძე კისრულობს, იგი თავს განცალკევებულად აყენებს და მედიდურის ენით ლაპარაკობს ამ ინტელიგენციის შესახებ ისე, თითქო ზე-კაცი იყოს, შეუდარებელი და მიუწდომელი. ზემოდ მოგახსენეთ, რომ ბ-ნი ნ. ნიკოლაძე აღჭურვილი იყო მეთქი ყოველივე იარაღით, რაც კი საჭიროა პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწისათვის, მაგრამ ამ წინადადებას **თითქმის** დაუმატეთ, რომ ბ-ნ ნ. ნიკოლაძეს ყოველთვის აკლდა ერთი უაღრესი ღირსება, აუცილებელი პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწისათვის. ეს გახლავთ, არ ვიტყვი სიწრფელე, ვინაიდან შეიძლება ეს უფრო გრძნობიერების სამეუფოს შეადგენდეს, რასაც არც ეგრე დიდად დასდევენ გონების წარმომადგენელნი, — მას აკლდა **გარკვეული მიდრეკილება**, **აკლდა ის ერთგვარი სულისკვეთება**, ურომლისოდაც საზოგადო მოღვაწესა და პუბლიცისტს ფასი არა აქვს.

ბ-ნი ნ. ნიკოლაძე „ზაკავკ."-ში მოთავსებულ თავისს წერილშიაც, რომელშიაც ოპერეტის იუპიტერს გვაგონებს, ძალიანა სწყრება: როგორ მიბედავთ და მკითხავთ, რა მიმართულებას ვადგევარ? ნუ თუ ჩემი ნახევარი - საუკუნის მოღვაწეობა ბრმათათვისაც კი ცხადს არა ჰყოფს ვინა ვარ მეო? და შემდეგ მოგვითხრობს: „მე უბრალო, მარტოდ მყოფი „განმანათლებელი" ვარ „საერობო დაწესებულების მომხრე" (ზემეცი); „მე იმ მოღვაწეთა რიცხვს ვეკუთვნი, რომელნიც სცდილობენ, უბედურ ვარსკვლავზე დაბადებულ ჩვენ ქვეყანას მოჰფინონ რაც შეიძლება მეტი სინათლე, გაავრცელონ იქ რაც შეიძლება მეტი ცოდნა და კმაყოფილება. მთელი ჩემი სიცოცხლის განმავლობაში ვშრომობ და ვმუშაობ შეძლების-დაგვარად, ვცდილობ მოვაპოვებინო ჩემს ხალხს რაც შეიძლება მეტი კეთილი, რასაც უკვე მიაღწიეს იმ ერებმა, რომელთა ყოფა-ცხოვრებაც უფრო ბედნიერ გარემოებებში მიმდინარეობდა"; მე „ევოლიუციონისტი" ვარო და სხვა.

[1] იხ. ბ-ნ ნ. ნიკოლაძის წერილი: „ქართველთა ტემნოტა", „ზაკავკაზიე", N 12, 1909 წ.

ბ-ნ ნ. ნიკოლაძეს უნდა ეგრძნო, რა ღრმა ტრაგიზმითაა აღსავსე ის საკითხი, რომელიც მას დაუყენეს: გვითხარით რა გზას ადგიხართო? კაცს, რომელსაც თითქმის ორმოცდა-ათის წლის განმავლობაში უშრომნია და უმოღვაწნია, კითხვას აძლევს საზოგადოვე მოღვაწეს და ქართველ ინტელიგენციის თავმოსაწონი წარმომადგენელი—გვითხარით, ბ-ნო ნ. ნიკოლაძევ, ვისთანა გვაქვს საქმეო. ბ-ნი ნ. ნიკოლაძე კი ასეთის უშინაარსო პასუხს აძლევს: „ყალბო ჟურნალისტებო! კალამს ხელს ჰკიდებთ თქვენის პირადის წვრილმანის მიზნის მისაღწევად. როგორა ჰბედავთ, დაუსჯელად ასეთის კითხვებით მომმართოთ მე, რომელიც ნახევარი საუკუნე ერთსა და იმავე აზრს ვემსახურებიო“, და სხვა. ასეთი პასუხი, მოგახსენეთ, იუპიტერს გვაგონებს, მაგრამ იუპიტერს ოპერეტისას. აქ ბ-ნ ნ. ნიკოლაძის გაჯავრება არავის არ დააკმაყოფილებს. მისი ბაქიობა ტრაგი-კომიკურ შთაბეჭდილებას ახდენს. იმისი თქმა, რომ ყველა ჟულიკია, ყველა ყალბია, ყველა გაუგებარია, არავის არაფერში არ დაარწმუნებს. ბ-ნ ნიკოლაძესა ჰგონია, რომ ქვეყანა და ჩვენი ცხოვრება მესამოცე წლებშია გაყინული, იმ ხანაში, როცა ბ-ნი ნ. ნიკოლაძე მოევლინა ჩვენს ქვეყანას. სამწუხაროდ, ბ-ნი ნ. ნიკოლაძე აქ ერთგვარის დალტონიზმით არის დაავადმყოფებული და ჰგონია, რომ იმის მეტს ჩვენში არავის არც ცოდნა აქვს და არც განათლება.

ჩვენდა საბედნიეროდ და ბ-ნ ნ. ნიკოლაძის სამწუხაროდ, ჩვენმა საზოგადოებამ გასწრო ბ-ნ ნ. ნიკოლაძეს. ჩვენში ბევრია ეხლა სპეციალისტიც და არა სპეციალისტიც, რომელნიც ბ-ნ ნ. ნიკოლაძეს არაფერში არ ჩამოუვარდებიან. შესაძლოა ისეთი მახვილი ნიჭი არა ჰქონდეთ და ისე მომარჯვებული კალამი, მაგრამ ამის შესახებ არ შეგვიძლიან მსჯელობა ვიქონიოთ, ამას ჩვენი ისტორია გამოარკვევს. ბ-ნი ნ. ნიკოლაძე ამას ჰხედავს ყველა თავის „სცენაზე გამოსვლის“ დროსა ჰხედავს, რომ ვეღარც ლუი-ბლანისა და ჟიულ-ფერრის ხსენებით და ვეღარც გუჩკოვთან ვიზიტებით ვეღარავის გააკვირვებს.[1]) ჰხედავს, რომ პარიზსა და ლონდონში თუ მას ჟამსა შინა იმის მეტი ჩვენებური არც ვინმე ყოფილა, დღეს თითქმის ყოველი ვაჭარი ადვილად მოგზაურობს იქ. ჰხედავს, რომ მას აღარავინა სთვლის გონების საიდუმლოების სალაროს ქურუმადა და მცველად, და იმის მაგიერ, რომ ბ-ნმა ნიკოლაძემ სიხარულით თავი მოიხაროს ყოველ „ევოლიუციონისტისათვის“ ამ ადვილად გასაგებ და სამხიარულო ფაქტის წინაშე, იგი ჯავრობს და არა სასურველ მდგომარეობაში აგდებს თავის თავს. ბ-ნი ნ. ნიკოლაძე ჩამორჩენილი კაცია, და ამას ვერ შეჰრიგებია ისევე, როგორც ვერ შერიგებია, ხშირად მოხუცი იმას, რომ მის გარშემო ყრმათა ჟივილ-ხივილია: ცელქობა და სიხარული ახალ გაზდობისა მოხუცის გულში ბოღმას იწვევს, რაკი ჰხედავს, რომ იგი მიმავალია და ამ წარმავალობას უფრო მკაფიოდ გრძნობს მომავლის წინაშე, ბ-ნ ნ. ნიკოლაძეს რომ ის ერთი უდიდესი ნაკლი არა ჰქონდეს, ნაკლი გარკვეულობისა, ნაკლი გადაჭრილ შეხედულებისა ცხოვრებაზე, რომლის შესახებაც ზემოდ ვილაპარაკეთ—თავისი ჩამორჩენა თავისი საზოგადოებრივი მოხუცება, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, ამ ზომამდე აღარ გაამწარებდა. მაგრამ, სამწუხაროდ, ორპირობა კი არა, მრავალპირობაც ნიშანდობლივი თვისებაა ბ-ნ ნ. ნიკოლაძის მოღვაწეობისა.

ამის დასამტკიცებლად გადაათვალიერეთ, თუ გნებავთ, ზემოდმოყვანილი მისი მრწამსი და მიბრძანეთ, განა ამ მრწამსზე ყველა არ მოაწერს ხელს, ტიმოშკინიდან და მარკოვიდან დაწყებული თვით უკიდურეს რუსს პარტიების წარმომადგენლამდე? ისეთ კაცს ვერა ნახავთ, მით უმეტეს მოღვაწეს, რომელსაც ყველა ეს არა სურდეს, არ ელტვოდეს, რომ „მიანიჭოს თავის ხალხს, რაც შეიძლება მეტი კეთილი, რასაც უკვე მიაღწევს იმ ერთ, რომელთა ცხოვრებაც უფრო ხელ-საყრელ პირობებში მიმდინარეობდა“. მაგრამ გზა, საშუალება, რომლითაც სცდილობს ესა თუ ის ჯგუფი ამ აზრის განხორციელებას—აი, სად იმალება მთელი მიზეზი აზრთა და მოქმედებათა სხვა და სხვაობისა და წინააღმდეგობისა. როცა ბ-ნ ნ. ნიკოლაძეს ჰკითხავენ — რა გზას ადგიხართო, იგი თავისს სურვილებზე გვითითებს ხოლმე. ეს ბავშური პასუხია. ეჭვი არავის შეუტანია არც ბ-ნ ნ. ნიკოლაძისა და, სხვა რომ არ დავასახელოთ, არც კრუპენსკისა, გინდ ბობრინსკის შესახებ, რომ მათ თავიანთის ქვეყნისათვის კეთილი სურთ, მაგრამ რა გზით გინდათ იმ კეთილს მიაღწიოთო—აი, რას ეკითხებიან ბ-ნ ნ. ნიკოლაძეს მისი ნახევარი საუკუნის მოღვაწეობის შესახებ, და ეს კითხვა, ვიმეორებთ, ღრმა ტრაგიზმით აღსავსე ბ-ნ ნ. ნიკოლაძისათვის, მასა სურს გადააქციოს სახუმარო კითხვად, და მთელი მისი წერილი („ექსპლოატაცია ტემნოტი“) სწორედ ასეთის კილოთია დაწერილი. უნდა მართალი გითხრათ, ღრმა სევდის მომგვრელია იგი წერილი. ამ წერილში თვით ბ-ნ ნ. ნიკოლაძისათვის უხილავი ცრემლები სჩანს, ცრემლები იმ მოღვაწისა, რომელსაც ორმოცდა ათი წლიწადი უშრომნია და როცა ჰკითხვენ—რა გზით მიდის თქვენი შრომაო, პასუხი ვერ მიუცია.

ბ-ნი ნ. ნიკოლაძე ცნობილი პუბლიცისტია, მაგრამ იმის პუბლიცისტობას უფრო პოეტური ელფერი ადევს. როცა პოეტი ლექსებში პუბლიცისტობას დაიწყებს, იცოდეთ, ის უხეირო მგოსანია, როცა, პუბლიცისტი პუბლიცისტურ წერილებში პოეტობას მოჰყვება, გეწამდეთ, რომ მას არა აქვს ვარსკლავი, არცა ჰყავს ნესტან-დარეჯანი და იმიტომ ყოველდღიურ პირ-ვარამის გამორკვევას მიჰმართავს, მაგრამ ავიწყდება, რომ ასეთის მოღვაწისათვის უფრო საჭირო გზის მაჩვენებელი ძაფი, ვინაიდან დღიური წვრილმანი მთელი ლაბირინტია, ხოლო იქ გზის დაკარგვა ადვილი. ბ-ნი ნ. ნიკოლაძე განწყობილების კაცია, ქეიფის მწერალია. თუ ქეიფზეა მამულის სიყვარულს ქებათა-ქებას უძღვნის (მესამოცე წლებში), თუ სხვაგვარად განწყობილია—გაიძახის, რომ იმისთვის ეროვნულს საკითხებს უპირველესი მნიშვნელობა არა აქვს, ამ საკითხებს სრულიადაც არ აყენებს პირველ რიგზე (მისი მეთაურები „ობზორში“). თუ მოსწონს—უკიდურესი მემარცხენეა, თუ არ მოსწონს—უკიდურესს მემარჯვენეებს მხარს აძლევს, მაგრამ იმგვარად კი, რომ ყოველთვის პირში ჩაგჩრის—აი, მე მემარცხენეც ვიყავიო. მისი განწყობილება და ქეიფი, სამწუხაროდ, ანკარა წყაროდან როდი მომდინარეობს; ბ-ნი ნ. ნიკოლაძე იქითკენ იყურება, საიდანაც ქარი უბერავს და საითაც ძალასა ჰხედავს; იმ ბანაკში გადადის, სადაც გამარჯვებულები არიან, და ამას სჩადის ხოლმე მეტად ტლანქად, მწერლისთვის არ შესაფერის საშუალებით. იგი ერთ დროს გერცენთან მუშაობდა—მაშინ მემარცხენე ელემენტთა მოძრაობას ძალა ჰქონდა. მერე კელსიევსა და ტიხომიროვს დაუწყო თაყვანისცემა—მაშინ რეაქცია გაბატონებული იყო, დასჭირდება დიმიტრი ეპისკოპოსს (აბაშიძეს) ილტაცებულს დეპეშებს გაუგზავნის, როცა ამ უკანასკნელს ფოთის ეპისკოპოსად დანიშნავენ, თუმცა ქართველ საზოგადოების თვით არხიუზომიერესი ელემენტები ამ მღვდელმთავარს ზურგს უჩვენებდნენ ხოლმე მისის აშკარა სიმძულვარისათვის ქართველების მიმართ.*) გავა ხანი და პირველი თვით გადაუდგება მას (საინტერესო იქნა, ვიცოდეთ, რა ნიადაგზე აღმოცენდა ეპისკოპოსსა და ბ-ნ ნ. ნიკოლაძეს შორის მეგობრობა ან რა ნიადაგზე ჩამოვარდა მათ შორის შუღლი, ძალიან საინტერესოა, მაგრამ ამ საიდუმლოების ბჭენი მაგრად დახშული). ქეიფზეა გენერალ ალიხანოვს ნადიმებს გაუმართავს, ხოლო მისი „მეგობრები“ ამავე დროს ერთ-ერთ ჩვენ დაწესებულებაზე „დანოსს“ გამოაცხობენ... გაიხსენეთ მისი ორპოფი პოზიცია ილია ჭავჭავაძისა და ნ. დ.-ის პოლემიკის დროს (1888—9 წლებში), როცა ხან სიხარულით გვამცნევდა მისი გაზეთი, დომ „დააკი (ვითომ ილია) დასცესო“ და ხან კიდევ ყურებ ჩამოყრილი სწერდა**) „დათვი ძლიერიაო“. მესამოცე წლებში, როცა ქართველებთან მუშაობდა, საეროვნო კილოზე ღიღინებდა, როცა რუსებთან გადადიოდა, „ეროვნულ საგანს“ უკანასკნელ პლანზე აყენებდა („დალეკო ნე ნა პერვი პლან“). რაი საკვირველია, როცა მწერალი ასეთს „წაჯექ-უკუჯექობას“ კისრულობს, ილიასი არ იყოს: „შენც გაამებს და ამასთანავე ორივეს გაგწყვეტავს მაგრამ ისე კი, რომ ერთმა მეორეს ტკივილით ინუგეშოს და წყენა გაიქროს“ („ივერია“ 1889 № 237), იგი ყოველ მომენტში ყოველთვის გასამართლებელ საბუთს იშოვნის. თუ თქვენ ბ-ნ ნ. ნიკოლაძეს უთხარით, რომ საეროვნო საკითხებს გულ-გრილად ეპყრობოდიო, მაშინვე მოგიყვანს ციტატებს იმ ნაწერიდან, სადაც ცხარე მამულიშვილური გრძნობები აქვს გამოთქმული. თუ უთხარით, რომ ერთ დროს უკიდურეს მემარცხენეთა გზას ადექიო—უთუოდ მოგიყვანს თავის კამათს შელგუნოვთან, ერთის სიტყვით, ბ-ნი ნ. ნიკოლაძე „ნოვოე ვრემიას“ აზრთა პარლამენტს ჰბაძავს და ამასვე ჩემულობს. ორმოცდა ათი წლის განმავლობაში ამგვარად რყევა, ამგვარად ქანაობა, ძალაუნებურად იწვევს იმ საკითხს, რომელსაც ბ-ნი ნ. ნიკოლაძე ასე გაუჯავრებია და რომლის შედეგია ზემოხსენებული მისი წერილი, საოცარი და თვალთსაჩინო სურათი მისი ნახევარ საუკუნის აზრთა და გრძნობათა დაუდგრომლობისა.

**ერთი ინტელიგენტთაგანი.**

(დასასრული იქნება)

1) ვერც ლებონის წიგნებით.

*) აი ის დეპეშაც (იხ. „კავკაზი“ 1903 წ. N 309): „პატივი მაქვს წარმოუდგინო თქვენს ყოვლად უსამღვდელოესობას ულრმესი მილოცვა ფოთის ქალაქის მცხოვრებთა და საზოგადო მმართველობისა გურია-სამეგრელოს კათედრაზე თქვენის დანიშვნის გამო და აგრეთვე პირადი ჩემი სურვილები (ეს რაღათ დასჭირდა „უანგარო მოღვაწეს“?), რომ სრული გამარჯვება („უსპეხ“) გენახოთ ახალს ფრიად მძიმე ადგილზე“.

**) როცა ილიამ კარგად გაჰკენლა. იხ. „ივერია“ 1889 წ. № 236—8. აქვე ნახავთ ბ-ნ ნ. ნიკოლაძის სრულ დახასიათებას, მისი ორპოფობის მისი „წაჯექ-უკუჯექობის“ სიტყაც ილიას მკუთვნის.

„დროების“ კანტორა მოაგონებს წლიურ ხელის მომწერთ, რომ პირველ აპრილისთვის მათ შემოტანილი უნდა ჰქონდეთ 5 მანეთი. ვისაც 3 მან. 20 კაპ. ნაკლები აქვს შემოტანილი, იმას გაზეთის გზავნა მოესპობა.

# სახელმწიფო სათათბირო

(პეტერბ. დეპ. სააგენტ.)

**სხვა და სხვა კანონ პროექტი.**

24 მარტის სხდომაზე სათათბირომ განიხილა წვრილი კანონ-პროექტიები. პირველად მოისმინა სამოსამართლო რეფორმათა კომისიის მოხსენება 33 დეპუტატის განცხადების შესახებ. ამ დეპუტატებმა წინადადება შეიტანეს სათათბიროში, შეიმუშავეს კანონ-პროექტი, რომლითაც უნდა განმტკიცდეს სოფლელებზე ოპეკის დადების წეს-რიგი იმ შემთხვევებში, როდესაც ფლანგვა იჩენს თავს. შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგმა მოიწონა ეს წინადადება და სთქვა, თვით სამინისტრო შეიმუშავებს კანონ-პროექტს და მალე წარმოგიდგენთო.

შემდეგ სათათბირომ მიიღო 33 დეპუტატის წინადადება, დაარსდეს განსაკუთრებული კომისია, რომელმაც უნდა შეიმუშაოს ზომები ცეცხლთან ბრძოლისა ქალაქებში და სოფლებში.

სათათბირომ მოისურვა შეეთანხმებელ კომისიის აზრი იმ საგნების შესახებ, რომელთა გამოც ვერ შეთანხმდნენ სათათბირო და საბჭო. ერთ საგანში სათათბირო დაეთანხმა საბჭოს, მეორეში—არა.

სათათბირომ შეიწყნარა 37 წევრის წინადადება საქალაქო დებულების გავრცელების შესახებ ნოვოჩერკასკში. სამინისტრომაც სასურველად სცნო ეს.

დასასრულ, სათათბირომ მიიღო 25 წვრილი კანონ-პროექტი. ერთ კანონ-პროექტის გამო სათათბირომ მიიღო ფორმულა, რომელშიაც გამოთქმულია სურვილი შარა გზებზე „ხასტავის“ გადასახადის გაუქმების შესახებ.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

25—26 მარტი.

## საზღვარ-გარედ.

**სალონიკი**. ამ ჟამად დიაკოვის მიდამოებში იმყოფება ალბანელთა ცნობილი მეთაური ბოლეტინაცი. ბოლეტინაცს თან ახლავს ძლიერი რაზმი. იპეკში თავს იყრის მთავრობის ის ჯარი, რომელმაც ალბანეთი უნდა დაამშვიდოს. იპეკში თავის შტაბით ჩამოვიდა ჯავიდ-ფაშა. მიტროვიციდან და სალონიკიდან ჯარი გაჩქარებული ნაბიჯით იპეკში მიდის.

**სტამბოლი**. სერბიის პრემიერ-მინისტრმა პაშიჩმა და გარეშე საქმეთა მინისტრმა მილოვანოვიჩმა დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტს დაავალეს, განაცხადოს, რომ სერბიის მეფე და მინისტრები კმაყოფილნი არიან ოსმალეთის მთავრობით, რომელმაც ესე მეგობრულად მიიღო სერბიის მეფე და მინისტრები. მინისტრების სიტყვით ჯერ კიდევ შარშან განმტკიცდა ოსმალეთ-სერბიის მეგობრული კავშირი და სერბიის მეფემ ხომ უფრო ხელი შეუწყო ამას.

**პარიზი**. სენატი. იმ კანონ-პროექტის განხილვის დროს, რომლითაც მთავრობას ევალება 1910 წელს ორი ჯავშნიან გემის აშენებას შეუდგეს, საზღვაო მინისტრმა განაცხადა: ამ ჟამად საფრანგეთს 16 ჯავშნიანი გემი აქვს, აქედან 9 ძველის ტიპისაა. ამითი არ შეგვიძლიან დავიცვათ საფრანგეთი. აქ ლაპარაკი საზღვაო პროგრამაზედ კი არ არის, არამედ იმაზედ, რომ მთავრობას შეძლება მიეცეს ძველი ტიპის ჯავშნიანი გემების მაგიერ ახალ ტიპისა ააშენოს. თუ საქმეს სერიოზულად შევხედავთ, დავინახავთ, რომ მთავრობას ორი ჯავშნიანი გემის აშენება კი არ უნდა მოეთხოვა, არამედ სამისა და ოთხის აშენება (ტაში.) მთავრობას მხოლოდ სურს ხელი შეუწყოს, რომ ფლოტი არ დასუსტდეს. სხვა არაფერი. სენატორი დესტურნელ-დე-კონსტანი სცდება, როდესაც ამბობს, არა მწამს, რომ საფრანგეთში ჯარის გადმოსხმა მოსალოდნელი, ან შესაძლებელი იყოსო. საფრანგეთში ჯარის გადმოსხმა ყოველთვის შეიძლება. 24 საათის განმავლობაში ერთი დივიზიის გამოსხმა შეიძლება. ცუდად მოიქცეოდა ის, ვინც მარტო ხმელეთის ჯარს დაენდობოდა და მარტო მისი საშუალებით ეცდებოდა ხელი შეეშალა მტრის ჯარის გადმოსხმისათვისო. სენატმა ერთხმად მიიღო კანონ-პროექტი.

**ზაგრები**. ზაგრების პროცესის ბრალდებულების საქმეს ხელმეორედ განიხილავენ. რამდენიმე კაცს სახელმწიფო ღალატი ბრალდებათ. პირველად ეს საქმე ზაგრებში გაირჩა და ყველა დამნაშავეებს სასამართლომ სხვა და სხვა სასჯელი მიუსაჯა. სასამართლოს განაჩენი მთავრობამ გააუქმა. მთავრობის აზრით სასამართლომ სერიოზულად არ შეხედა ნასტიჩის ჩვენებას. ნასტიჩის ჩვენება ეჭვს იწვევს.

**სტამბოლი**. დილის 11 საათზე სერბიის მეფემ დაათვალიერა დეპუტატთა პალატა. პალატის შესავალში მეფეს დაუხვდა დეპუტატთა პალატის თავმჯდომარე ახმედ-რიზა და ის დეპუტატები, რომლებიც სერბიულად ლაპარაკობენ. როდესაც მეფე დეპუტატთა პალატაში შევიდა, დეპუტატები ტაშით მიეგებნენ. მეფემ პალატაში ნახევარ საათი დაჰყო.

საღამოს 3 ნახევარ საათზე სერბიის მეფემ მიიღო მსოფლიო პატრიარქი.

**სტამბოლი**. მთავრობის ცნობებით პრიშტინის ოლქში არეულობა გამოიწვია პრიშტინის მუნიციპალიტეტის დადგენილებამ. მთავრობის ნებართვით ქალაქიდან გატანილ საქონელს განსაზღვრული გადასახადი უნდა დასდებოდა, პრიშტინის მუნიციპალიტეტმა კი თავის დადგენილებით დროებით შეაჩერა გადასახადების გადახდევინება. ალბანელმა დეპუტატებმა დაადგინეს სთხოვონ მთავრობას, რომ ნუ მიიღებს სასტიკ ზომებს არეულობის წინააღმდეგ. მიუხედავად ამისა მთავრობამ გადასწყვიტა სასტიკი ზომები მიიღოს და რაც შეიძლება ჩქარა ჩააქროს არეულობა. იპეკიდან დეპეშით იტყობინებიან, რომ გუშინ პრიშტანის ახლო შეტაკება მოუვიდათ შეიარაღებულ ბრბოს და მთავრობის ჯარსაო.

**ლონდონი**. დეპუტატთა პალატა. პრემიერ-მინისტრმა ასკვიტმა წინადადება შეიტანა, კამათი რეზოლიუციების განხილვის შესახებ წინ და წინვე ხუთი დღით განვსაზღვროთო. ასკვიტის სიტყვით რეზოლიუციების განხილვის შემდეგ, მთავრობა პალატაში შეიტანს კანონ-პროექტს, რომელიც დაფუძნებული იქნება რეზოლიუციებზედ. ოპოზიციის ორატორები ასკვიტს შეეკითხნენ, მთავრობა კანონ-პროექტს დეპუტატთა პალატას, როგორც მიღებულია სამჯერ გაახილინებს, თუ არაო. პრემიერ-მინისტრმა ასკვიტმა განაცხადა, მთავრობას ეს განზრახვა არა აქვს, რეზოლიუციებს უსათუოდ წარვუდგენთ ლორდთა პალატასო. ოპოზიციის ორატორებმა უსაყვედურეს ასკვიტს, მთავრობა წინადადებას იძლევა, რომ რეზოლიუციების შესახებ კამათი ხუთი დღით განვსაზღვროთ და ამას იმით ამართლებს, რომ რეზოლიუციებს წინასწარი ხასიათი აქვსო და ამავე დრო რეზოლიუციებს ლორდთა პალატას ისე უდგენს, თითქოს რეზოლიუციები დეპუტატთა პალატის უკანასკნელ აზრს წარმოადგენდნენო. ასკვიტმა შემდეგ განაცხადა, 5 აპრილს მთავრობა წინადადებას შემოიტანს, რომ განისაზღვროს კამათი ბიუჯეტის შესახებ და მოითხოვს მოკლე-ვადიან კრედიტებსო. ასკვიტი იმედოვნებს, რომ ყველა ამის შემდეგ დეპუტატთა პალატა გაზაფხულის ვაკაციების გამო დაიშლება. პალატამ მიიღო მთავრობის წინადადება. როგორც სჩანს, კრიზისი მაისში დადგება.

**ტულონი**. მარსელში გაიხსნება [illegible] საფრანგეთ[illegible] სტის მიმოსვლას. მარსელშივე გაიგზავნა მატროსების რაზმი, მატროსები საფოსტო გემებზედ იმუშავებენ.

**ბერლინი**. „დოიტშე-ტაგე-ცაიტუნგ“[?] „დოიტშე-კაბე-გრამმგეზელშაფტის“ ადდის-აბებიდან ატყობინებენ: აბეშის დედოფალმა ინგლისის ელჩს დახმარება სთხოვა. ელჩმა უარი შეუთვალაო.

**ვენეცია**. ტარნოვსკაიას პროცესსი. პროკურორის ავადმყოფობის გამო სასამართლოს დილის სხდომა საღამოსთვის გადაიდო. საღამოს სხდომაც არ შესდგა, რადგან ერთი ნაფიც-მსაჯული ავად გახდა.

**სტამბოლი**. პრიშტინის მუტესარიფი დეპეშით სთხოვს ოსმალეთის მთავრობას, მიიღოს ზომები სამღვდელოების წინააღმდეგ, რადგანაც სამღვდელოება ხალხს აჯანყებსო. მუტესარიფი ნამეტან უჩივის კათოლიკეთა მღვდელს იკონოსს, რომელიც მთებში გაქცეულა და მცხოვრებლებს ურჩევს აჯანყდნენ მთავრობის წინააღმდეგ.

## ს პ ა რ ს ე თ ი

**თავრიზი**. მთავრობამ შესცვალა შინაურ სესხის პირობები. გადაწყვეტილია მოვალეებს მისცენ 10 პროცენტი და ვალი ათი წლის განმავლობაში გადაიხადონ. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობა მოვალეებს ხელსაყრელ პირობებს უდებს, არავის არ უნდა ფულის გაღება. სერდარ ბოგადურის და ეფრემას რაზმები ვერ ახერხებენ არდებილში წასვლას, რადგან ამისთვის საჭიროა 30,000 მანეთი, რის შოვნაც ძალიან სძნელოა.

**თავრიზი**. სოუჯ-ბულაკში წავიდა გერმანელი ინჟენერი, რომელიც პრინც იმამ-კულისთან მოლაპარაკებას გამართავს ურმიის ტბაზე გემების მიმოსვლის შესახებ. ურმიაში მიმავალ ქარავნებს, სოუჯ-ბულაკის ყველა გზებზე ოსმალეთის ჯარი გადასახადს ახდევინებს. გზა სპარსეთის ტერიტორიაზე არის გაყვანილი. დჯაბელკენდში, ურმია-სოუჯ-ბულაკის მთავარ საქარავნო გზაზედ მოქმედებს ოსმალეთის დამოჯნა, რომელიც საქონლის ღირებულების 11 პროცენტს იღებს.

**თეირანი**. სამინისტრო ცუდ მდგომარეობაშია. გარეშე საქმეთა მინისტრი გადადგომას თხოულობს.

## ჰაერში ფრენა

**ვარშავა**. თავის ჰაეროპლანით გაფრინდა გიუიო. გიუიომ იფრინა 3 წუთი და 24 წამი. ჰაეროპლანის მობრუნების დროს, ჰაეროპლანი ჩამოვარდა და დაიმტვრა. გიუიო გადარჩა

## რ უ ს ე თ ი

**ჰელსინგფორსი**. სეიმმა დიდი კამათის შემდეგ დაადგინა, რუსეთის მთავრობის წინადადება საერთო კანონმდებლობის შესახებ გადასცეს ძირითად კანონების კომისიას. კამათში მონაწილეობა მიიღეს მეხელინმა, დანიელსონმა, ირიმ, კალმარიმ და სხვებმა.

**სუვალკი**. კვირას ვიშტინეცის კოსტელში შეტაკება მოუვიდათ ლიტველებს და პოლონელებს. დაშავდა რამდენიმე კაცი. შეტაკება გამოიწვიეს პოლონელებმა, რომელთაც ლიტველებს ნება არ მისცეს ზოგიერთ შემთხვევებში ლოცვები სამშობლო ენაზედ ეგალობნათ. ლიტველებს ამის ნება ეპარქიალურმა მთავრობამ მისცა. ლიტველები ვიშტინეცში უმრავლესობას წარმოადგენენ.

**ჰელსინგფორსი**. სეიმი. დიდი კამათი გამოიწვია რუსეთის მთავრობის წინადადებამ საერთო კანონმდებლობის შესახებ. კამათს ზოგიერთი სენატორებიც დაესწრნენ. სოციალ-დემოკრატების მხრივ ილა-

პარაკეს ირიემ, დანიელსონმა, მიაკელინმა, კალმარიმ, ვრედემ და ნიუბერგსონმა. ირიემ გრძელი სიტყვა წარმოსთქვა და გაჰკიცხა კანონ-პროექტი, ეს კანონ-პროექტი კომისიას იმიტომ კი არ უნდა გადავცეთო, სთქვა ირიემ, რომ კომისიამ თავის დასკვნა გამოსთქვას, არამედ იმიტომ, რომ ყველას აჩვენოს კანონ-პროექტის უკანონობა და უსაფუძვლობა, თუმცა კი კანონ-პროექტი ეხლავე უნდა უკუვაგდოთო. ირიეს სიტყვით კანონ-პროექტი სახელმწიფოს ძირიანად გადაბრუნებაა. კალმარიმ ისტორიულის თვალსაზრისით შეხედა კანონ-პროექტს, გაჰკიცხა იგი და თავის სიტყვა შემდეგის სიტყვებით დაამთავრა: იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ფინლიანდიის ხალხი, მიუხედავად პარტიულ განცალკევებისა და ზოგიერთ ნაკლებისა, ყველას დაუმტკიცებს, რომ იგი ღირსია იარსებოსო. შებერგსონმა სთქვა: წინად ასეთ კანონ-პროექტებს გენერალურ შტაბის აფიცრები ადგენდნენ, ეხლა პოლიტიკანი იურისტები. თუ კანონ-პროექტი ცუდად არის შედგენილი ამაში პირდაპირ ბრალს პრემიერ-მინისტრ სტოლიპინს ვერ დავდებთ, მას უკეთესი თანაშემწეები უნდა ამოერჩიაო. აგრარიების პარტიის წევრმა კალლიომ სასტიკად გაჰკიცხა კანონ-პროექტის შემდგენლები და სთქვა: ეს კანონ-პროექტი ფინლიანდიაში კანონად არას დროს არ გახდება. სეიმის სასაცილოდ აგდებაა, როდესაც სთხოვენ თავის აზრი გამოსთქვას იმ კანონ-პროექტის შესახებ, რომელიც რუსეთში უნდა განიხილონო. სეიმის სადგომი ხალხით იყო სავსე. სხვათა შორის სეიმის სხდომას დაესწრნენ ინგლისის და შვეციის კონსულები.

**მოსკოვი.** ანილინის (სალბავი) ქარხნის სადგომში ნახეს 4 დაჭრილი მეარტელე. სამი უკვე გარდაიცვალა. კასირი უგრძნობლად არის. ცარცვა-გლეჯის კვალი არა სჩანს.

**დონის-როსტოვი.** ნაფიცმა მსაჯულებმა გაამართლეს ოთხი კაცი. ბრალდებოდათ 1905 წელს, ებრაელთა აწიოკების დროს ებრაელ სტუდენტის მოკვლა.

**ოდესა.** სამოსამართლო პალატამ გაამართლა ნაფიცი ვექილი ბროდსკი სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატად ნამყოფი ბრალდებოდა სხვისი სახელის ტარება, რისთვისაც ქალაქის სასამართლომ 200 მანეთით დააჯარიმა.

**პეტერბურგი.** 24 მარტს ციმბირის სავაჭრო-ბანკის აქციონერთა საზოგადო კრებამ დაამტკიცა 1909 წლის ანგარიში. ბანკს ამ წელს 2.388,302 მან. და 48 კაპ. მოგება დარჩენია. თვითეულ აქციაზე დივიდენდათ მიეცემად 40 მანეთი. დივიდენდის მიცემა დაიწყება 26 მარტიდან პეტერბურგსა და ბანკის ყველა განყოფილებებში.

სინოდს განზრახული აქვს აპრილის შუა რიცხვებში ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში გაგზავნოს დეკანოზი ვოსტორგოვი. ვოსტორგოვს დაევალება ადგილობრივ გაიცნოს გადასახლებულთა სარწმუნოებრივი მოთხოვნილებანი და დააკმაყოფილოს ეს უკანასკნელნი. ამას გარდა ვოსტორგოვი დაათვალიერებს სადაც შესაძლებელია მონასტრების გაკეთება.

**პეტერბურგი.** საოლქო სასამართლომ განიხილა „სოვრემენ. რეჩის“ რედაქტორად ნამყოფის გოროდეცკის საქმე. გაზეთში 1907 წელს გაიბეჭდა წერილი, რომელშიაც ჰკიცხავდნენ ცარევოკოკშაისკის საერობო უფროსთა კრების თავმჯდომარის უკეუმსკის მოქმედებას. სასამართლომ გოროდეცკი 100 მანეთით დააჯარიმა.

**პეტერბურგი.** დააპატიმრეს დარაჯი ბეკეტოვი, რომელმაც გუშინ, 24 მარტს, სათადარიგო ჯარის-კაცთა არეულობის დროს, მოჰკლა ებრაელი ფრეინშეინი. გრადონაჩალნიკმა სამსახურიდან გადააყენა პეტრე-პავლეს ნაწილის ბოქაული.

**პეტერბურგი.** ვასილიევის კუნძულზე დამცველ პოლიციის განყოფილების აგენტებმა დააპატიმრა კრება სოციალისტ-რევოლუციონერების პროპაგანდისტებისა. კრება ჰქონდა 7 მოსწავლეს.

**სარატოვი.** სამხედრო სასამართლომ გაარჩია 26 კაცის საქმე. ბრალდებოდათ სოციალ-დემოკრატიულ პარტიის წევრობა და ცარცვა-გლეჯა. მიესაჯა ორს სიკვდილით დასჯა, 11 სხვადასხვა ვადით კატორგა, 6 გადასახლება და 6 გაამართლა.

**გროდნო.** ღამე სოკოლკაში სამმა ბოროტგანმზრახველმა განიზრახა ხაზინის გაცარცვა. დარაჯმა დასჭრა ერთი. ბოროტგანმზრახველები მიიმალნენ.

**გროდნო.** სამხედრო სასამართლომ განიხილა ვიატსკის პოლკის ჯარის-კაცის საქმე. ჰბრალდებოდა 27 თებერვალს მე-24 ბრიგადის პოლკოვნიკის, ნიკიტინის დანით დაჭრა. სასამართლომ ჯარის-კაცს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა.

**პეტერბურგი.** საზღვარ-გარედ რამდენიმე კვირით წავიდნენ სამხედრო და გარეშე საქმეთა მინისტრები.

## ახალი ამბავი

### ტფილისი

✦ **საკითხი უნივერსიტეტის შესახებ.** კავკ. სამოსწავლო ოლქის მზრუნველი ბ-ნი რუდოლფი დაბრუნდა პეტერბურგიდან. ამ ცოტა ხანში მოხდება სხდომა საუნივერსიტეტო კომისიისა. მეორე წელიწადია მიიძინა საკითხმა უმაღლეს სასწავლებლის შესახებ. კომისია, როგორც ვიცით, ნამესტნიკის განკარგულებით შედგა.

✦ **რედაქტორების დაჯარიმება.** ტფ. გუბერნატორმა დააჯარიმა გაზ. „ზაკავკაზიეს“ რედაქტორი თავ. გ. ი. ამირეჯიბი და გაზ. „ჩვენი ნაბიჯის“ რედაქტორ-გამომცემელი მარიამ კეზელი თითო 100 მ. თუ ჯარიმას არ გადაიხდიან, ექვს-ექვსი კვირით იქნებიან დაპატიმრებულნი. დაჯარიმებულ იქმნა 25 მ. ტფ. მოქალაქე ტერგალუსტოვი ადმინისტრაციის ნებადაურთველად საღამოს გამართვისთვის.

✦ **ჩხრეკა.** ეს ერთი კვირაა ტფილისში დიდი ჩხრეკაა. სჩხრეკენ გამვლელ-გამომვლელთ, კერძო ბინებს და სხვას. აპატიმრებენ ბევრ უპასპორტოს. 22 მარტს გაჩხრიკეს ოლგას ქუჩაზე სესიევის დუქანი და დააპატიმრეს ტფილისის მოქალაქენი ვლადიმერ ბერიძე, ივანე მაისურაძე, გრიგოლ გოდერძიშვილი, ოჰანეზ შერიშიანცი, ალექსი სეფაშვილი, მიხეილ სესიაშვილი. შემდეგ, ყაზბეგის ქუჩაზე გაჩხრიკეს ალექსანდრე ქართველიშვილი, რომელსაც ჩემოდანში უნახეს ორი მაუზერი 74 პატრონით და ბრაუნინგი 18 პატრონით. ქართველიშვილის ბინაზე დააპატიმრეს ვასილ დარჩიაშვილი. განაგრძეს ჩხრეკა მლეთის ქუჩაზე დიონისე იმედაშვილის სახლში. უდელის ქუჩაზე გაჩხრეკის დროს მიხეილ ივანიუკოვის ბინაზე ნახეს ბულდოგის ორი რევოლვერი. ფასანაურის ქუჩაზე გაჩხრიკეს ბარსეგ მისკანოვის ბინა, ხოლო ყაზბეგის ქუჩაზე—გიორგი ნებუნიშვილის სახლი ამათთან ერთად დააპატიმრეს ვარდის უბნის ქუჩაზე გიორგი და ზაქარია ძნელაძეები. 24—25 მარტს პოლიციის მე 3, 2, 6 10 და 11 ნაწილში დააპატიმრეს 37 უპასპორტო.

✦ **რეფერატი.** დღეს, საღამოს 8 საათზე, საზოგადო კლუბში (ბირჟის სადგომი) ი. ვ. ბაევი წაიკითხავს რეფერატს ამ თემაზე: „იბსენი და ტოლსტოი, როგორც მორალისტები“. რეფერატის შემდეგ გაიმართება საუბარი.

✦ **გრიგოლ რობაქიძის ლექცია.** მოვაგონებთ მკითხველებს, რომ დღეს ქართულ თეატრში გრიგოლ რობაქიძე წაიკითხავს ქართულად ლექციას ამ თემაზე: „რელიგია მშვენიერებისა“ (ოსკარ უაილდის შემოქმედების შესახებ). დასაწყისი საღამოს რვა საათზე.

✦ **საბეჭდი მანქანა.** 23 მარტს ოზურგეთში პოლიციას აღმოუჩენია საიდუმლო საბეჭდი მანქანა.

✦ **სანოვაგის სიძვირე.** ტფილისში ხმა დადის, რომ მსხვილი ვაჭრები, რომელთაც ხელში უჭირავთ ყასბები და სხვა სანოვაგის მოვაჭრენი, სურსათს განგებ უმატებენ ფასებს და ამ რიგად ყველაფერს აძვირებენო. ამ ხმების გამო ტფ. გუბერნატორმა დაავალა პოლიცმეისტერს, დაწვრილებით გამოიკვლიოს ეს საქმე და თუ ხმები მართალი გამოდგა, მიიღოს შესაფერი ზომები.

✦ **საინტერესო პროექტი.** როგორც ვიცით, ამიერ-კავკასიის რკინის გზის სადგურები აღმოსავლეთ ნაწილში დატანჯულები არიან უწყლობით. ამ სადგურებში წყალს ვაგონებით ეზიდებიან შორიდან. ეს საქმე რკინის გზას თითქმის ნახევარ მილიონ მანეთად უჯდება. გენერალს ნ. ლავროვს განუზრახავს, აჯიქაბულის სადგურიდან ნავთის სამრეწველოებამდე (ბაქო) გაიყვანოს მტკვრიდან წყლის მილი. გენ. ლავროვმა წინადადება მისცა რკინის გზას, დაუთმოს მილისთვის ფირსაგატამდე სამი საჟენი ადგილი ხოლო ფირსაგატიდან—ორი საჟენი და ის თავის მხრივ წყალს დაუთმობს ყველა სადგურზე ვედრას 14 კაპიკად. რკინის გზის საბჭომ მოიწონა ეს წინადადება და პროექტი ლავროვისა პეტერბურგს გაგზავნა, რკინის გზათა მთავარ სამმართველოში.

✦ **„პრესსის სინდიკატი“.** ჟურნალისტთა „სინდიკატის“ საქმის შესახებ არჩეული სასამართლო განაგრძობს საქმის შესწავლას. ხუთშაბათს სასამართლომ გამოჰკითხა ლევან ყიფიანსა და ვლ. ნაგურსკის. გამოკითხვამ საღამოს 7 საათიდან ნაშუაღამევის 1 საათამდე გასტანა. სასამართლომ დღეის სხდომისთვის მიიწვია ს. ზ. მირზოევი. სასამართლოს ბევრი მოწმე ჰყავს გამოსაკითხი ასე რომ საქმის გარჩევა დიდ ხანს გასტანს.

✦ **„კავეიკის“ საზოგადოება.** დღეს, 27 მარტისთვის, დანიშნულია კრება ტფილისში ახლად დაარსებულ საზოგადოების „კავეიკასი“ კრებამ უნდა აირჩიოს გამგეობის თავმჯდომარე და განიხილოს მოხსენება თავშესაფარის სადგომის შესახებ უპატრონოდ მიტოვებულ ბავშვთათვის.

✦ **ძაღლების შემწეობით დაპატიმრებული მკვლელნი.** პოლიციის ძაღლების დახმარებით დაპატიმრებულთა—გარეგინ გულიევისა, გრიგოლ და კარაპეტ ტერ მოსესოვის შესახებ პოლიციამ ხანგრძლივის გამოძიების შესახებ გამოარკვია, რომ მართლაც ისინი ყოფილან მკვლელნი ალასი მელიქიავაზოვისა. დაპატიმრებულნი მეტეხის ციხეში გაგზავნეს და საქმე გადასცეს გამომძიებელს.

✦ **დიდი ფულის გაფლანგვა.** ადელხანოვის ქარხანაში აღმოჩნდა, რომ 25,000 მანეთი გაუფლანგავთ. ეჭვი მიიტანეს კალატოზოვზე და დააპატიმრეს. გამოძიება სწარმოებს.

✦ **თხოვნა.** „კასპი“-ს სიტყვით ჭლექთან მებრძოლ კავ. საზოგადოებას მიუმართავს ამერიკელ მილიარდერ როკფელერისთვის და უთხოვნია 200 000 მანეთი. საზოგადოებას აზრადა აქვს ამ ფულით აბასთუმანში ჭლექიანებისთვის საავადმყოფო ააგოს.

✦ **ლექცია.** დღეს პეტერბურგელი ლექტორი ნ ი. აბრამოვიჩი სახაზინო თეატრში წაიკითხავს უკანასკნელ ლექციას: „ვ. თ. კომისარჟევსკაია და თანამედროვე თეატრი“.

✦ კვირას, 28 მარტს, აჯუბდის აუდიტორიაში ქ-ნი ელიავა გამართავს საუბარს „ღვთ ქალებზე“. დასაწყისი 10 საათზე. ამავე დღეს სამკურნალო საზოგადოების დარბაზში ქ-ნი ბერიშვილი წაიკითხავს: „მაღაროში მომუშავე ბავშვები“. დასაწყისი 11 საათზე. ავლაბრის აუდიტორიაში ქ-ნი ასათიანი წაიკითხავს: „ბიძია თომას ქოხს“, დასაწყისი 11 საათზე.

✦ ტფ. ქალაქის გამგეობამ უკანასკნელ სხდომაზე მოისმინა ივანოვის განცხადება პოლიცმეისტერთან, ყასბების დუქნებში სამსახურ გარეშე მყოფ მოხელეების ჩაყენების შესახებ. გამგეობამ არსებითად ეს განცხადება არ განიხილა, ხოლო დაადგინა, გაუმეოროს სავაჭრო სამეურნეო პოლიციის უფროსს ზედამხედველებს ბაზრებს, გაამძლიეროს მეთვალყურეობა, რომ ყასბებმა ნიხრზე მეტად არა ჰყიდონ ხორცი.

✦ 25 მარტს პოლიციამ რიყეზე დააპატიმრა გორში გადასახლებული და თავის ნებით დაბრუნებული მოქალაქე ივანე ალექ. ტრეტიაკოვი. როდესაც პოლიციაში მიჰყავდათ, ტრეტიაკოვი გაიქცა, პოლიციელებმა ორჯელ ესროლეს, მაგრამ ააცდინეს. ტრეტიაკოვი მაინც შეიპყრეს.

✦ ტფ. საზოგადოების „კავეიკის“ გამგეობის თხოვნის თანახმად ტფ. ქალაქის გამგეობამ დაადგინა შემოწირულებისათვის ყუთები ჩამოჰკიდოს ქალაქის კასსასთან, ლომბარდში და სააუქციონო დარბაზში.

✦ 24 მარტს დააპატიმრეს ტფ. მოქალაქე მათეოს გასპარიანცი, რომელიც საგენერალ-გუბერნატოროდან გადასახლების შემდეგ ნება დაურთველად დაბრუნებულა.

## მოწერილი ამბავი

**პატარძეული** (იორის ხეობა). მადლობა ღმერთს, ძლივს ეღირსა ხალხი გზების გაკეთებას! რამდენი ხანია გზები უპატრონოდ იყო დატოვებული და მომრიგებელ შუამავალს თავ. ვახნაძეს რომ ძალით არ გაეკეთებინა, დღესაც უვარგისი გზები გვექნებოდა. მამასახლისმაც ბევრი იმეცადინა. ხალხი უმადური იყო იმ დროს, როცა აკეთებდა გზას, ეხლა კი მადლობას უთვლის, როცა გაკეთებულს ჰხედავს.

პატარძეულსა და ხაშმის შინდვრებსა და სხვა სოფლების შინდვრებშიაც დიდ ძალი თაგვი გაჩნდა. თუ მალე ყურადღება არ მიაქციეს, შიმშილი აუცილებელია. გამოიწერეს წამალი თაგვების წინააღმდეგ, მაგრამ დღესაც არ მოსულიათ, სჯობს მთავრობამ ან სამეურნეო საზოგადოებამ სპეციალისტი გამოგზავნოს თაგვებთან საბრძოლველად. იორის ხეობიდან დიდძალი პური შემოდის ტფილისში. ისე დღე არ გავა, რომ ორ ურმამდის არ შეიტანონ აქაურებმა პური ქალაქში. ასე რომ აქაური მოუსავლობა ტფილისისთვისაც საგრძნობელი იქნება.

პატარძეულში თითქმის ექვსას კომლამდის იქნება. მშვენიერი ჰავაა და წყალი. წყაროები თითქმის მთელ სოფელშია. მხოლოდ ზემო ნაწილს არა ჰქონდა წყარო, ამის გამო შარშან ზეგიდან მთის წყარო ჩამოიყვანეს და ორ ადგილას ამოუშვეს მილებით. ამ საქმეს თაოსნობდა ალექსი ბაძმარაშვილი ხალხს თავის მუშაობის გარდა ას სამოცი თუმანი დაუჯდა. შარშან ხალხმა იდღესასწაულა ეს ამბავი და წყალი აკურთხა.

აქ ტყის დარაჯად დანიშნეს ერთი ინგუში. ამ ინგუშს თურმე ძალიან მოსწონებია ტყეში ამ წლის აუზი და რამდენჯერმე უბანავნია. ხალხმა გაიგო და მეორე დღეს წყალი აღარავინ დალია. მთელი წყალი გაუშვეს, მაგრამ ხალხს მერეც არ მისდიოდა გული. ამოდენა ფული და წვალება იმისთვის დავხარჯეთო, რომ ვიღაცა ინგუშმა აბანოთ გაიხადოს. შუამავალთან იჩივლა ხალხმა. რაკი მიჩივლესო, ეხლა დღეში ორჯელ ვიბანებო. ამის შემდეგ სიცივეები დადგა. ბანაობა შეაჩერა ინგუშმა. ეხლა გაზაფხული დგება და იქნებ კვლავ დაიწყოს ბანაობა? საჭირო ყურადღება მიექცეს. **ვ.**

—

**ს. ბანძა** (სენაკის მაზრა). არ იქნა, ბოლო არ მოეღო ქურდების თავაშვებას. რამდენიმე დღის წინად დაეცნენ ადგილობრივ ვაჭარს და წაიღეს 60 მან. თავდასხმელნი ვერ იპოვნეს. არ გაუვლია ერთი თვეც და შიგ შუა ბაზარში (ურიაკარში) თავს დაეცნენ იაკობ აჯიაშვილის დუქანს და წაიღეს საქონელი (ტყავი) ხუთას-ექვსას მანეთისა. დუქანი აჯიაშვილისა აგურისაა, შიგ შუა ქალაქში. გარდა ქალაქის რამდენიმე ყარაულისა, თითონ აჯიაშვილსაც ჰყავდა კერძო ყარაული თავის დუქნისა. ასეთ პირობებში ძნელი წარმოსადგენია დუქნის გატეხა, მაგრამ 19 მარტს ღამე მაინც გატეხეს, გამოჩრიეს აგურის კედელი და წაიღეს საქონელი. თუ ამ საქმის ჩამდენნი არ აღმოაჩინეს, შენი მტერია აქ ცხოვრება გაძნელდება! **მ—ა**

## უკრაინული სკოლები

II.*)

უკრაინულ ენის აკრძალვას სკოლებში ხშირად იმითი ხსნიან, ვითომ უკრაინული და რუსული ენები ერთმანეთსა ჰგავანო, რომ თითქმის ერთი და იგივეაო. შემცდარი აზრია. ოცს სიტყვაში შეიძლება ორი სიტყვა იყოს ერთნაირი და ისიც გამოთქმა უკრაინელსა და რუსს სულ სხვა და სხვა აქვს. ამასთან ხშირად შეხვდებით სიტყვებს, რომელნიც ერთნაირად გამოითქმიან, მაგრამ მნიშვნელობა სულ სხვა და სხვა აქვთ, რაც უფრო აფერხებს უცხო ენის შესწავლას ბავშვისთვის. ერთი რუსი მასწავლებელი, მაგალითად, ძალიან აღშფოთებული იყო უკრაინელ ბავშვების უგონობითა და სისულელით, როგორც ის ამბობდა, და მოჰყავა მაგალითს, თუ როგორ უკითხავდა ერთხელ უკრაინულ სკოლაში მუშებს პატარა ამბავს, სადაც, სხვათა შორის, ასეთი წინადადება იყო: „красная рожа выставилась изъ калитки“. „წარმოიდგინეთ, როგორ გადმოსცეს ბავშვებმა, ჯავრობდა რუსი მასწავლებელი ქალი:—იმათებურად გადმოცემა არ შეიძლიან, მაგრამ აზრი კი ის იყო, რომ ვიღაცა ჰკრებდა ვარდებსა და იღებდა ქისიდანაო“. რა თქმა უნდა, ეს ძალიან უაზრო და სულელური გადმოცემაა წაკითხულ ფრაზისა, მაგრამ უკრაინელი ბავშვები მაინც მართლები იყვნენ. საქმე იმაშია, რომ სიტყვები: красный, рожа და калитка იხმარება უკრაინულ ენაშიაც, მაგრამ красный რუსულ ენაში ნიშნავს წითელს, უკრაინულში კი—ლამაზს; рожа რუსულში ნიშნავს მახინჯ პირისახეს, უკრაინულში-კი—ვარდს, და калитка რუსულში ნიშნავს ალაყაფის კარებს, უკრაინულში-კი—ქისას. ამ გვარად, გამოდიოდა უკრაინელ ბავშვისთვის ნაცნობი, მაგრამ უცნობი, გაუგებარი და რაღაც უაზრო ფრაზა, და ასევე გადასცეს მათ მასწავლებელს.

ამ გვარი სიტყვა, რომელიც ერთნაირად ითქმება ორივე ენაზე, ხოლო სხვა და სხვა მნიშვნელობა კი აქვს მრავალია მაგალითად, სიტყვა люлька რუსულს ენაში ნიშნავს აკვანს, უკრაინულში კი—ჩიბუხს, სიტყვა луна რუსულს ენაში ნიშნავს—მთვარეს უკრაინულში-კი—ეხოს, გამოძახილს; სიტყვა уродливый რუსულს ენაში ნიშნავს მახინჯს, უკრაინულში-კი—ლამაზს და სხვა.

არც გრამატიკული ფორმები შეეფერება ერთმანეთს, და ხშირად რუსული ენის ზმნის ფორმა გამოითქმის უკრაინულში როგორც სახელი არსებითი. მაგალითად, რუსული ზმნა пил—დალია, უკრაინულში სახელი არსებითია და აღნიშნავს ტახტის მაგვარ საწოლს. ამ გვარი დაბრკოლებანი უკრაინელ ბავშვისთვის უფრო ძნელი შესათვისებელია, ვიდრე ენის სულ არ ცოდნის დროს, როცა ბავშვს ნაცნობი სიტყვა ესმის, ის თამამად განაგრძობს ბოლომდე კითხვას, და, რასაკვირველია, წაკითხულის აზრსა ჰკარგავს, რადგაც სისულელე და უაზრობა ჰგონია, სიტყვების უბრალო გროვად მიაჩნია. სცდილობს, როგორმე გაიგოს წაკითხული, და ამ გვარად ჰქმნის რაღაც ფანტასტიურ ზღაპრებს, რაც წიგნში სრულებით არ არის.

ნეჟინის მაზრის ერთს სკოლაში, მაგალითად მივიდა ინსპექტორი და წააკითხა ბავშვებს საყდრის აღწერა, რომელიც იწყება სიტყვებით: როცა სოფელში ან ქალაქში შედიხართ, პირველად ამჩნევთ საყდარს. წაკითხვის შემდეგ ბავშვებსა ჰკითხეს, მაგრამ იმათ გადმოცემა ვერ შესძლეს, და ინსპექტორი სცდილობდა კითხვებით ეშველა იმათთვის.

— აბა, მითხარით, სოფელში რომ შედიხართ, პირველად რასა ჰხედავთ?

— ძაღლებს,—ბევრი ფიქრის შემდეგ უპასუხეს მოსწავლეებმა. ბევრის კითხვა-გამოკითხვის შემდეგ მოსწავლეებმა, ბოლოს, საყდარი დაასახელეს.

— საყდრის თავზე რაღასა ჰხედავთ?—განაგრძობს ინსპექტორი.

— აბანოს!—ერთხმად მიუგეს მოსწავლეებმა.

აქ კი ინსპექტორი გაჯავრდა, დაცინიან თუ რა არისო, რა აბანოა საყდრის თავზეო, გაუჯავრდა მასწავლებლებს. საქმე კი იმაშია, რომ რუსულს სიტყვას купол—გუმბათი ეთანხმება უკრაინულ ბანიას, რომელიც რუსულს ენაში აბანოს ნიშნავს. ამ გვარი თითქმის სასაცილო ამბავი ბევრი ხდება უკრაინულ სკოლებში.

უცხო ენის გარდა უკრაინულ სკოლის სახელმძღვანელოების თვით შინაარსიც უცხოა უკრაინელ ბავშვისთვის. რუსული სოფლის ქოხები, ნაძვები, დამახასიათებელი ქალამნები, დასაძინებლად ღუმელი (ფეჩი), შრი, სარაფანი და სხვა ამგვარით სავსეა ეს სახელმძღვანელოები, მაგრამ უკრაინელ ბავშვს ყველა ეს სულ არ უნახავს, არ ესმის და ვერც გაუგია. უკრაინული მწერლები და უკრაინის დიდებული წარსული, რასაკვირველია, მოხსენებულიც-კი არ არის ამ სახელმძღვანელოებში და მით უფრო უკრაინულ სოფლისა და ხასიათის აღწერა.

აი, მოკლედ სკოლების მდგომარეობა უკრაინაში. აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ თუ ვინიცობაა მასწავლებელმა სწავლის გაადვილება მოიწადინა და რუსული სიტყვები უკრაინულად ახსნა, ან უკრაინული წიგნი მისცა მოსწავლეებს, სასტიკად ისჯება. ამის მაგალითიც ბევრია უკრაინელ პედაგოგების ცხოვრებაში. მასწავლებელს მ. ლობოდოვსკის მთელს რუსეთში აუკრძალეს მასწავლებლობა მხოლოდ იმიტომ, რომ მან „მათეს სახარების ერთი მუხლი უკრაინულ ენაზე გადაუთარგმნა მოსწავლეებს“ როგორც ნათქვამი იყო სახალხო სკოლების ინსპექტორის მოხსენებაში. ნოვიცკი მასწავლებლობიდან დაითხოვეს, რადგან იმას ექვსი უკრაინული წიგნი, რასაკვირველია, ცენზორის მიერ ნებადართული, უნახეს. **გ. ნამორაძე.**

*) იხ. „დროება“ N 67.

## ოსმალეთი

**ოსმალელ დეპუტატის აზრი რუსეთ-ავსტრიის შეთანხმებაზე.**

ბაღდადის დეპუტატმა ხ კი-ბეიმ მეტად მკაცრი წერილი დაბეჭდა ავსტრია-რუსეთის შეთანხმების წინააღმდეგ. ხაკი-ბეი სწერს: „თავისუფალი ერი ვერ მოითმენს უცხოელთა მზრუნველობას. აგერ 55 წელიწადია, რაც უცხოელები აცხადებენ, ოსმალეთის სამფლობელო ხელუხლებელიაო, მაგრამ ოსმალეთმა სწორედ ამ 55 წლის განმავლობაში დაკარგა მრავალი ადგილი. ყველას ის ემჯობინება, რომ უცხოელებმა სულ ხელი აიღონ ოსმალეთის მფარველობაზე.“

## სპარსეთი

**ხმა რუსის ჯარის გამოყვანაზე.**

სპარსეთის ელჩმა პეტერბურგიდან დეპეშით შეატყობინა თავის მთავრობას, რომ რუსეთის გარეშე სამინისტროს, ცხადად ეტყობა სურვილი—რუსის ჯარი გამოიყვანოს სპარსეთიდან. ამ დღეებში სამინისტრო დაჰპირებია ელჩს, რომ ყაზვინში დაბინავებულ რუსის ჯარს ნელ-ნელა, ნაწილ-ნაწილ გამოიყვანთო. მერე, ელჩს გამოუცხადებია სამინისტროსთვის, რომ სპარსეთის მთავრობას ამ ჟამად საკმაო ჯარი ჰყავს და თითონაც შეუძლიან მომთაბარე ტომების დამშვიდებაო. რუსეთის სამინისტრო თავის მხრივ დაჰპირებია მოკლე ხანში არდებილიდანაც გაეიყვანთ ჯარსაო („კ.“)

**ინგლისის ჯარი სპარსეთში.**

რუსულ გაზეთებს ატყობინებენ თეირანიდან: ინგლისელებმა ინდოეთიდან მოსული ჯარი ჩააყენეს სპარსეთის ყურის ნაპირებზე. ბუშირის ნავთ სადგურს ახლო გადმოვიდა 500 სიპაი (ინდოელი ჯარის კაცი) 4 ზარბაზნით და სოფელ დეშაქს ახლოს დაბინავდა. სიპაები სანგრები გამართეს და უმავთულო ტელეგრაფის სადგური მოაწყეს. ამ ჟამად სიპაები მაღალ გალავანს აგებენ თავიანთ ბანაკის გარშემო. ზარბაზნები დროებით ბასტიონებზე (სიმაგრეებზე) დადგეს.

**გერმანიის მეცადინეობა.**

გერმანიის ბანკის აგენტი მეცადინეობს სპარსეთის მთავრობისაგან კონცესსია აიღოს თეირან-ხანეკინის რკინის გზის ასაშენებლად. ეს კონცესსია მარტო იმისთვის უნდათ გერ-

მანელებს, რომ გერმანიის მთავრობას უფრო თამამად შეეძლოს გერმანიის ინტერესებზე ხმის ამოღება და სპარსეთის საქმეებში ჩარევა. („ზ.“)

**მეჯლისის პრეზიდიუმის არჩევა.** 23 მარტს მეჯლისმა ხელახლად აირჩია თავის თავმჯდომარე და მისი თანაშემწეები, რომლებსაც უკვე გაუთავდათ ვადა. თავმჯდომარედ ისევ ძველი თავმჯდომარე შარუდდოვლე აირჩია.

---

„დროების“ ხვალინდელ სურათებიან დამატების შინაარსი: „მსხვერპლი“, დრამა სამ მოქმედებად სოფლის ცხოვრებიდან, ს. გედევანიშვილისა; სურათები: „აკაკის გაცილება ხონელების მიერ“, „ორ-წყალა“ თიანეთის მაზრაში, სადაც მომავალმა რკინის გზამ უნდა გაიაროს, კენჭნაობა ხევსურეთში, სოფელი შატილი ხევსურეთში და ორი კარიკატურა (რუსეთის კონსტიტუცია და პ. გოთუა).

# თეატრი და ხელოვნება

**კონცერტი.** 4 აპრილს ქართული ფილარმონიული საზოგადოება, თავის ქონების გასაძლიერებლად, მართავს კონცერტს. როგორც გადმოგვცეს, კონცერტზე საინტერესო პროგრამა იქნება შესრულებული. კონ- [illegible]

**დასის საზოგადოება.** [illegible]

# უცხოეთი

**რეზოლიუციები ლორდების წინააღმდეგ.**

ახალ გაზეთებში უფრო დაწვრილებითაა გადმოცემული ინგლისის პირველ მინისტრის ასკვიტის სიტყვა, რომელიც მან წარმოსთქვა ლორდების წინააღმდეგ შეტანილ რეზოლიუციების დასაცველად.

მომავალ გადემოკრატებულ ლორდთა პალატაზე, რომლის დაარსებაც განუსაზღვრელის ვადით გადაიდვა, პირველ მინისტრს გადაჭრით განეცხადებინა, რომ ესეთ გადემოკრატებულ ზედა პალატასაც-კი არა დროს არ უნდა ჰქონდეს დეპუტატთა პალატასთან თანასწორი უფლებაო. მაგრამ ეს სულაც არა ჰნიშნავს იმას, რომ გადემოკრატებულ ზედა პალატას არავითარი გავლენა აღარ ექნებაო. ინგლისის მეფეს დიდი ხანია აღარ აქვს უცილობელ „ვეტოს“ უფლება და მით მაინც მეფეს ავტორიტეტი ინგლისში არა დაჰკლებია-რა. კონსერვატორთა გულკასასიებლად პირველმა მინისტრმა დაწვრილებით ილაპარაკა, რომ მეფეს უცილობელი უფლება აქვს ახალი პირების დანიშვნისა ურჩ და კერპ ლორდების დასამორჩილებლად. მართალია, ეს უფლება დიდი ხანია აღარ მოუხმარებია, მაგრამ უცილობელია, რომ ეს უფლება შერჩა მეფეს. ამ აზრის დასამტკიცებლად პირველმა მინისტრმა მოიყვანა ციტატები ინგლისის კონსტიტუციონურ უფლების საუკეთესო მცოდნეთა თხზულებებიდან.

შემდეგ კამათში ჩაერივნენ კონსერვატორთა ორატორები, რომლებიც გულმოდგინედ იცავდნენ ლორდთა უფლებას. კონსერვატიულ პარტიის სახელით შეიტანეს შემდეგი ოფიციალური რეზოლიუცია.

„დეპუტატთა პალატის აზრით, საჭიროა ძლიერი და შრომის უნარის მქონე ზედა პალატა. დეპუტატთა პალატა მზადაა განიხილოს პროექტი არსებულ ზედა პალატის რეფორმის თაობაზე, მაგრამ უარს ამბობს ისეთ წინადადებათა განხილვაზე, რომლებიც უაზროდ ჰხდიან ყოველ-ნაირ ზედა პალატის არსებობას და მოსპობენ ერთად-ერთს ბურჯს იმ დიდ ცვლილებათა წინააღმდეგ, რომელთაც სამინისტ-

რო არა თუ ხალხის დაუთანხმებლივ, მის სურვილის წინააღმდეგაც-კი ანხორციელებს.

**კარნეჯის აზრი სიმდიდრის განაწილებაზე.**

ცნობილმა ამერიკელმა მილიარდერმა უნდრიუ კარნეჯიმ, რომელმაც დიდი ფული შესწირა სხვა და სხვა საქველმოქმედო საქმეებს, ამ დღეებში სიტყვა წარმოსთქვა ლოს-ანჟელოში (კალიფორნიის შტატი) და რამდენიმე თავისებური აზრი გამოსთქვა სოციალურ საკითხებზე და კერძოდ სიმდიდრის განაწილების საკითხზე.

კარნეჯი დიდი ხანია მკაცრად ჰკიცხავდა იმ მდიდრებს, რომლებიც სიკვდილამდე მარტო სიმდიდრის შეძენაზე ჰფიქრობენ. „უპატიოსნოა ის კაცი, რომელიც მდიდარი კვდებაო“,—იტყოდა ხოლმე იგი. მხოლოდ უკანასკნელ სიტყვაში, რომელიც კარნეჯიმ მის პატივსაცემლად გამართულ ბანკეტის დროს წარმოსთქვა, იგი აღარ დასჯერდა მარტო ზნეობრივად დაგმობას და მოითხოვა, რომ ამნაირ საქმეებში სახელმწიფო უნდა ჩაერიოსო. ყოველი კაცი, რომელსაც მილიონის შეძლება შეუძენია, მოვალეა თავის შეძლების ნახევარი სახელმწიფოს შესწიროს. დროა საზოგადოებრივი სიმდიდრე და [illegible]

[illegible] მის შიშით შეძლების პატრონები უმალვენ თავიანთ შემოსავალს მოხელეებს და ამნაირად სიცრუეს ეჩვევიან. „დეე ეს ხალხი ისე გამდიდრდეს, როგორც უნდათ, მხოლოდ დაავალეთ, რომ თავიანთ შეძლების ნახევარი სახელმწიფოს შესწირონ.“

# რუსეთი

**✦ ბობირიკინის საქმე.** ეკატერინოსლავის სამხედრო სასამართლომ ხელმეორედ განიხილა მუშა ბობირიკინის საქმე. ბრალდებოდა ყუმბარების შენახვა, შემდეგ კი გამოირკვა, რომ პოლიციის აგენტ-პროვოკატორს ჯილდოს მისაღებად, ყუმბარა მიუტანია ბობირიკინის სახლში და შემდეგ „აღმოუჩენია“. ამის გამო სამხედრო სასამართლომ ბობირიკინს მიუსაჯა კატორგა. სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით სამხედრო სასამართლოს საქმის ხელმეორედ განხილვის დროს გაუმართლებია ბობირიკინი.

**✦ მუშათა პროფესიონალურ კავშირების დაკეტვა.** „კასპს“ რეველიდან დეპეშით ატყობინებენ: ადმინისტრაციის განკარგულებით დაიკეტა მუშათა 8 პროფესიონალური კავშირი.

**✦ გაზეთის დაჯარიმება.** ტომსკში ადმინისტრაციას დაუჯარიმებია გაზ. „სიმბირსკაია ჟიზნის“ რედაქტორი. გაზეთში დაბეჭდილი ყოფილა... სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატების მაკლაკოვის და კარაულოვის სიტყვები!!.

**✦ ებრაელები.** მთავრობას გადაუწყვეტია ყოველნაირ საშუალებით ხელი შეუწყოს იმ ებრაელებს, რომლებიც რუსეთიდან გადასახლებას მოისურვებენ. სხვათა შორის რკინის გზებზედ ბილეთების ფას დაუკლებენ.

**✦ ბერების „მჭერმეტყველობა“.** „რუსკ. სლ.“-ს ცარიცინიდან ატყობინებენ: მღვდელ-მონაზონმა ილიოდორემ ეკლესიაში მლოცველებს წაუკითხა წერილი, რომელსაც ილიოდორე „მოსკ. ვედომ.“ რედაქციას უგზავნის. წერილში, სხვათა შორის, სწერია: ცარიცინის მართლმადიდებელ ქრისტიანთა კრებამ დაადგინა გაგაკრას შენ, როსკიპო—რედაქციავ, სამარცხვინო ბოძზედ. ამას გარდა გადაწყვეტილია შენი ღვთის მგმობი თანამშრომელი ნოვოსელოვი საჯაროდ გაროზგოს წკეპლებითო“. ნოვოსელოვს ილიოდორე აბრალებს წმ. გრიგოლ შეურაცხყოფას.

**✦ ბერების კრების რეზოლიუციები.** მკითხველმა იცის, რომ შარშან მოხდა ბერების კრება. კრებამ მიიღო სხვა და სხვა რეზოლიუციები. ეხლა, როგორც სატახტო ქალაქის გაზეთები გადმოგვცემენ, სინოდს განუხილავს ეს რეზოლიუციები და დაუდგენია, ზოგიერთი რეზოლიუციები შეასწოროს, ზოგიერთები გააუქმოს.

**✦ პოლიციელი-შანტაჟისტი.** პ კოვში დაუპატიმრებიათ უბნის ზედამხედველი რომელიც სხვა და სხვა პირებს მუქარის წერილებს უგზავნიდა და ფულს ართმევდა. უბნის ზედამხედველი სწორედ მაშინ შეუპყრიათ, როდესაც იგი გლეხის ტანისამოსში გადაცმული, ფულის გამოსართმევად მისულა

**✦ გარტინგი.** საზღვარ-გარეთის პრესის აზრით ცნობილი პროვოკატორი გარტინგი ამ ჟამად პეტერბურგშია. გარტინგს უკვე დაუსრულებია რუსეთის საზღვარ-გარეთელ საიდუმლო პოლიციის ორგანიზაცია. გარტინგს გადაწყვეტილი ჰქონია ჩამოშორდეს ყოველნაირ საქმეებს

**✦ პურიშკევიჩის წერილი.** პურიშკევიჩს სახელმწიფო სათათბიროს პრეზიდიუმისთვის წერილი გაუგზავნია, პურიშკევიჩი თხოულობს, რომ მას მიეცეს ჯამაგირი იმ ხნის განმავლობაში, რომელიც მან სახლში დაპატიმრების გამო გაატარა. პურიშკევიჩი სწერს: სხვა დეპუტატებივით ბანკებში არა ვმსახურობ, ჩემთვის ერთი მანეთიც დიდი ფულია. თუ დამაპატიმრეს ეს ჩემის ნებით მოხდა, სახელმწიფო სათათბიროს ნებართვა კი ჩემთვის საჭირო არ არის, იგი მოცლილობის დროს გამომადგებაო. მიტომ დავაპატიმრებინე თავი, რომ ამით მთავრობას უფლება ჰქონდეს მემარცხენეებიც დააპატიმროს და იმედი მაქვს იმ ბედნიერ დღეს მოვესწრო, როდესაც მემარცხენეებს სატუსაღოებში ჩასვამენო.

**✦ სტოლიპინი და ებრაელები.** პეტერბურგში 25 მარტს სტოლიპინს მიუღია ებრაელთა რაბინების კრების დეპუტაცია. დეპუტაციას უთხოვნია კრების რეზოლიუციების დამტკიცება, რაზედაც სტოლიპინს უთქვამს: „ვნახოთ, გადავსინჯავ, გულმოდგინეთ მოვეკიდები საქმესო“. ამას გარდა დეპუტაციას უთხოვნია ებრაელების მდგომარეობის გაუმჯობესება. ებრაელებმა რევოლიუციონური ორგანიზაცია „ბუნდი“ შეადგინეს, უპასუხნია სტოლიპინს, რევოლიუციაში მონაწილეობას იღებდნენ, ამით სახელი გაიფუჭეს და თუ გასწორდებიან, მაშინ შესაძლებელია რაიმე ზომები მივიღოთ ებრაელთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლადო. განზურგს სტოლიპინისთვის მიუთითებია იმ გარემოებაზედ, რომ რევოლიუციაში სხვა ერებიც იღებდნენ მონაწილეობას, სტოლიპინს დასასრულ უთქვამს, დაპირებით ვერაფერ დაგპირდებითო და გაბრუნებულა. დეპუტაციას სტოლიპინის მისაღებ ოთახში ორი საათი უცდია პრემიერ-მინისტრისათვის.

**✦ ხოლერა პეტერბურგში.** ექიმების შემოწმებით ზაფხულში პეტერბურგში ხოლერა გაჩნდება.

# წერილი რედ. მიმართ

პატივცემულ რედაქციას უმორჩილესად ვთხოვთ, „დროების“ უმახლობლეს ნომერში მოათავსოს შემდეგი.

მდგომარე წლის 24 მაისს შესრულდება სამი წელიწადი მას შემდეგ, რაც ქუთაისში დაარსდა ღარიბ სტუდენტთა დამხმარებელი საზოგადოება. ამ სამი წლის განმავლობაში საზოგადოებას შეუგროვებია სულ 2160 მანეთი, რითაც ერთ-დროული დახმარება აღმოუჩენია 125 სტუდენტთათვის. ფულის განაწილების დროს საზოგადოების გამგეობა უმთავრეს ყურადღებას აქცევდა მთხოვნელთა სიღარიბეს და ხელმძღვანელობდა წესდების მესამე მუხლით, სადაც ნათქვამია: „სტიპენდიის დანიშვნისა, თუნდ ერთ-დროებით შემწეობისა და აგრეთვე მათის მოსპობის დროს საზოგადოება ხელმძღვანელობს სათვისტომო წრის ჩვენებით“.

მიუხედავად ამისა, ზოგიერთი სტუდენტი სიტყვიერათ თუ წერილობით უსაყვედურებს გამგეობას ფულის უსამართლოდ განაწილებას, ვითომ ის სტიპენდიანტებს უწევდეს დახმარებას, ხოლო ნამდვილ ღარიბ-სტუდენტებს გვერდს უვლიდეს. ზემოხსენებულ სიტყვების დასამტკიცებლად უადგილო არ იქნება მოვიყვანოთ აქ, სხვათა შორის, ოდესელ სტუდენტის გრიგოლ რეკვავას ერთი წერილის შინაარსიც რუსულადვე:

Милостивый Государь! Прошу сообщить по какой причинѣ я не получилъ пособія отъ общества; въ то время какъ всѣ мои товарищи, пославшіе вмѣстѣ со мной прошеніе, не исключая даже стипендіантовъ, получили отъ общества пособіе въ размѣрѣ 15—20 руб. почему именно я единственный изъ всѣхъ не получилъ пособія? Съ почтеніемъ Студентъ Григорій Реквава.

როგორც ამ წერილის შინაარსიდანა ჩანს, საზოგადოებას შეცდომით ერთ დროული დახმარება აღმოუჩენია ოდესელ სტიპენდიანტებისთვის. თუ ეს მართალია,—რაც გამგეობამ დღემდის არ იცოდა,—შემდეგში რომ ამგვარი არა სასიამოვნო შეცდომები არ განმეორდეს და ამით არ შეფერხდეს ნამდვილ ღარიბ სტუდენტებს ნივთიერი დახმარება, ვთხოვთ ბატონ რეკვავას, პრესის საშუალებით გვაცნობოს იმ სტიპენდიანტების გვარები, რომელთაც გამგეობა შეცდომაში შეიყვანეს და დახმარება მიიღეს.

რაც შეეხება თვითონ სტუდენტ რეკვავას, უნდა მოვახსენოთ, რომ არა მარტო მისი თხოვნა, არამედ ბევრი სხვისაც გამგეობის მიერ დატოვებულ იქმნა უყურადღებოდ უსახსრობისა გამო.

უმორჩილესად ვთხოვთ ქართულ და რუსულ გაზეთებს გადაბეჭდონ ეს წერილი.

ქუთაისის გუბერნიის ღარიბ სტუდენტთა დამხმარე საზოგადოების მდივანი

**ნესტორ ჩიქოვანი.**

---

უმორჩილესად გთხოვთ, თქვენი გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა გამოუცხადოთ საბავშვო ჟურნალ „ჯეჯილის“ რედაქტორს ქ-ნ ანასტასია წერეთლისას, რომელმაც უფასოდ შემოსწირა ჩემდამი რწმუნებულ ქალის სამრევლო სკოლას ამა წლის ჟურნალი „ჯეჯილი“.

ქალის სკოლის მართველი

**მღ. ა. კურცხალია.**

---

ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ „საზ.“ სენაკის განყოფილების გამგეობა ულრმესს მადლობას სწირავს დადაე ჩიქოვანის ასულს ქ-ნს ნორაკიძისას, რომელმაც განყოფილების სენაკის სამკითხველოს შემოსწირა განსვენებულის სპირდონ ნორაკიძის ფული რუსული და ქართული წიგნები, ღირებული 400 მანეთად.

წ. კ. გ. საზ. სენაკის განყოფილების **გამგეობა**

---

უმორჩილესად გთხოვთ, ნება მიბოძოთ თქვენის გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადო პრაპორშჩიკ ალექსანდრე ბესარიონის ძე ნემსაძეს, რომელმაც დ. ცაგერის უფასო სამკითხველოს შემოსწირა 27 ც. წიგნი და აგრეთვე ამავე დაბის მცხოვრებს დურგალ ფილიფე საყინაძეს, რომელმაც ზემოხსენებულ სამკითხველოს გაუკეთა მცირე ფასებში საჭირო ავეჯი.

სამკითხველოს გამგე

**ს. გოგიძის ასული.**


# განცხადებანი

**ექიმი ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში**

იღებს შინაგ., ქალ., ბავ. და სიფილ.-ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ოთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (6.—71)

**ქუთაისში**

◀ **კიწმარაშვილის და ამხ.** ▶

**თესლეულობის მაღაზიაში** მიღებულია სხვა და სხვა თესლეულობა ახალ ბოსტნეულის, ყვავილების და ბალახების: იონჯის, სამყურის და კოინდრისა. აქვე იყიდება საგანგებოდ დამზადებული ძმათა პასხალიდების თეთრი აბრეშუმის თესლი. მსურველთ კატალოგი უფასოდ ეგზავნება. (25—კვ.—15)

**შემთხვევით იყიდება მკვიდრი ორ-სართულიანი ✦ სახლი ✦**

(მეხამე ძირის სართული სარდაფია) ყველა მოწყობილებით, ალექსანდრეს ბაღის ქვევითა ნაწილის ახლოს, ორბელიანის ქ., N 19. ბანკის ვალი 8,000 მან. ზედმეტი ფასი მორიგებით. შეიძლება ნაწილ-ნაწილად გადახდაც. პირობების გაგება შეიძლება სასახლის ქ. მ. ნაზარბეგოვის მაღაზიაში. (1—206—1)

**პეტერბურგში აპრილიდან გამოვა ყოველთვიური სურათებიანი ჟურნალი**

# „ЗАЩИТА ЧЕЛОВѢКА“

(ადამიანის დაცვა)

მონაწილეობას მიიღებს **ლ. ნ. ტოლსტოი**

პირველ ნომერში მოთავსებული იქნება **კირილ ქპისკოპოსის სურათი და სტატია ქუთაისის გიმნაზიაში მომხდარ ინციდენტის შესახებ.**

ფასი წლიურად 1 მან. 50 კაპ., ექვსი თვით 80 კაპ. ხელის მოწერა მიიღება—Петербургъ, Бронницкая, N 13. Журналъ „Защита Человѣка.“

(5—3) რედაქტორი **მ. ბოლქვაძე.**

◀ **სრული პასუხის მგებლობა** ▶

მაქვს პატივი ვაუწყო პატივცემულ საზოგადოებას, რომ საუკეთესოდ მოვაწყე

# „ფეხსაცმელების სახელოსნო“

გვაქვს მზად შეკერილი ფეხსაცმელები ქალებისთვის, კაცებისთვის და ბავშვებისთვის საკუთარი ნამუშევარი—**შევროსი, ხრომისა და სხვა მასალისა**, აგრეთვე ვკერავთ შეკვეთით ხელფასად, მკვიდრად და დანიშნულ ვადაზედ. საქონლის სიკარგისათვის ვკისრულობ სრულ პასუხის მგებლობას.

ადრესი: წყნეთის ქუჩა, სახლი ჩითაიშვილისა N 28.

პატივისცემით **ივ. სვ. ბერძნიშვილი.**

◀ **სრული პასუხის მგებლობა** ▶ (25—6.—12)

ნუ გადაყრით ტყუილად ფულს [illegible] 100 მანეთიანი გრამოფონები.

# 300 მანეთს საჩუქრად

მიიღებს ყველა, ვინც დაამტკიცებს რომ ეს ჩვენი **არა ჩვეულებრივ ფასებში გამოშვებული გრამოფონი 12 ფირფიტათი** და 1000 ნემსით არა ღირს ამ ფასად—**გაგზავნით მხოლოდ 13 მან. 85 კაპეიკად.**



◀ **გამოიწერეთ და დარწმუნდით!** ▶

მშვენიერი და მკვიდრი გრამაფონი **„სალონ-კონცერტი“** ახალის ტიპისა, ცნობილ „მონარხ“-ის მარკისა, რომელიც არაფრით არ ჩამოუვარდება ძვირფას გრამაფონებს. ეს გრამოფონი **სჯობია** ძვირფასებს სიძლიერით და ხმოვანებით, **საშინელი სილამაზე ხმისა.** სრულებით არ იცის ხრიალი. მოსართავი გვერდიდანა აქვს, რეგულიატორით სწრაფის და ნელი დაკვრისათვის. რუპორი ფერადებიანია „ლოტოსი“, შებრანა კონცერტისა, ორხომიანი **„სიმფონიონი“**, გრამოფონის ყუთის ზომა 20×20×10 სანტიმეტრია. ფერადებიან რუპორის ზომა 30×40 სანტ. შეკვეთა შეიძლება ფას-დადებით და ბეს გამოუგზავნელად. ვინც გრამოფონის ფასს ერთბაშად წარადგენს, უფასოდ მიიღებს ზედმეტად 4 ფირფიტას.

ადრესი: Единств. Представ. Французск. фабрика граммафоновъ Ко. „Бенъ“, Варшава. 105—291, საკონცერტო ფირფიტები „გრანდ ექსტრა“ ზომით 25½ სანტიმეტრი. ფასი 75 კაპ. და 1 მან. 25 კაპ.

ციმბირში გასაგზავნად ზედ-მეტი გადასახადი 1 მან. 75 კაპ.

**ვისაც სურს** შეგვიძლიან დაუსახელოთ ის პირნი, ვინც მადლობის წერილები გამოგვიგზავნა.

(Мецль и Ко. N 17223.) (2—6.—1)

ადგილობრივ და სხვა ქალაქების ჟურნალ-გაზეთებისთვის განცხადების მომკრეფი აგენტი

# მ. ა. გაჟონია

იღებს შეღავათიანის პირობებით ყოველ გვარ განცხადებას როგორც ადგილობრივ, ისე სხვა ქალაქის გაზეთებისთვის. ვისაც სურს მასთან საქმე დაიჭიროს, უნდა მიმართოს ამ ადრესით:

(20—16) **ტფილისი, ველიკოკნიაზის ქ., № 40. ტელეფონი № 215.**

დაიბეჭდა და პირველ აპრილისთვის დაურიგდება ხელის მომწერლებს მორიგი ნომერი ჟურნალ

# „განათლებისა“

შემდეგის შინაარსით: პრ. ბერნ. მიუნცი 1. ბავშვის ლოღიკა—ა ლ. ფ ა ლ ა ვ ა ს ი, 2. სწავლა აღზრდის საქმე საქართველოში 10-13 საუკ. ს ა მ. ც ო მ ა ი ა ს ი, 3. უცხო ენების ადრე სწავლება (სიმონოვიჩიდან), 4. ორი კუდიანი ვარსკვლავი, 5. პედაგოგიის ისტორია დ—რ გაიმერისა (გერმანულიდან) ნ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ი ს ა, 6. *** ლექსი ლ ა დ ო გ მ გ მ ე ჭ კ ო რ ი ს ა, 7. პოზნანელ მასწავლებლის დღიური (დასასრული) სენკევიჩისა თ. მ ა გ მ ა ძ ი ს ა, 8. სულა და ღმერთები ბ ა ჩ ა ნ ა ს ი, 9. არითმეტიკის და გეომეტრიის პროგრამები საქართ. სახალხო სკოლებისათვის, 10. ახალი მიმართულება არითმეტიკის სწავლებაში ა ლ ბ ა ნ ე ლ ი ს ა, 11. პირველ დაწყებითი სწავლება არითმეტიკის სწავლებისა ამერიკის სკოლებში, 12. გეომეტრია სახალხო სკოლებში, 13. სასკოლო საკითხი საფრანგეთში, 14. სახალხო ბიბლიოთეკები გერმანიაში, 15 ბიბლიოგრაფია ვ ა ნ ყ ა ნ ი ს ა. 16 ახალ წლის დღესასწაული სპარსეთში და საქართველოში პროფ. **ალ. სახანაშვილისა.**

ჟურნალი წლიურად ღირს გაგზანით 3 მან. ნახევარი წლით 2 მან. სოფლის მასწავლებელთათვის წლიურად—2 მან. წარსული წლების ხელის მომწერთ, ვინც არ განაახლებს ხელის მოწერას, მეოთხე ნომრის შემდეგ ჟურნალის გზავნა მოესპობათ. ხელის მოწერა მიიღება ტფილისში—ქ. შ. წ. კ. საზ. წიგნის მაღაზიაში და „ნაკადულის“ რედაქციაში. ადრესი: Тифлисъ, Грузинская гимназія Л. Г. Боцвадзе. (3—2) რედაქტორ-გამომცემელი **ლ. გ. ბოცვაძე.**

1909 წ. 15 ნოემბ.-დან განახლდა გამოცემა დიდ სატახტო გაზეთის 1909 წ.

# „უტრო როსიი“

(УТРО Россіи)

1910 წელში «უტრო როსიი» გამოვა გადიდებულ ფორმატით წინანდელივით დამოუკიდებლად, სერიოზულად და ცოცხლად, საზღვარ-გარეთელ დიდ გაზეთების დაგვარად. გაზეთის ტექსტში მოთავსებული იქნება სურათები, კარიკატურები და შარჟები.

განსაკუთრებული ყურადღება მიქცეულია ცნობების მისაწოდი განყოფილებაზე (ახალ ამბებს, ქრონიკებს, დეპეშებს). საკუთარი სააგენტო დეპეშათა და ტელეფონისა. საკუთარი კორესპონდენტები რუსეთის ყველა ქალაქებში და ევროპაში.

რედაქცია მოურიგდა სასხატვრო-სალიტერატურო და იუმორისტიულ ჟურნალ «კრივოე ზერკალოს» გამომცემლებს. ჟურნალი ცალკე ღირს 5 მან. ხელის მოწერის ფასი «უტრო როსიი»-ზე და «კრივოე ზერკალო»-ზე ერთად წელიწადში 9 მ. ნახევ. წლით 5 მან., 3 თვით 3 მან. მარტო გაზ. «უტრო როსიი»-ზე (უჟურნალოდ) ერთი წლით 7 მან., ნახევ. 4 მან. 3 თვით 2 მან. 1 თვით 75 კაპ. შეიძლება ფულის ნაწილ-ნაწილად გადახდა ხელის მოწერის დროს 3 მან. პირველ აპრილისათვის 2 მან. პირველ ივლისისათვის 2 მან. ან თითო მანეთი პირველ შვიდ თვის ყოველ პირველ რიცხვებში.

ვინც გამოიწერს გაზეთს «უტრო როსიი»-ის და ჟურნალ «კრივოე ზერკალოს» უნდა წარადგინოს.—ხელის მოწერის დროს 4 მ. პირველ აპრილს 3 მან. და პირველ ივლისს 2 მან. ანუ 3 მანეთი ხელის მოწერის დროს და თითო მანეთი პირველ 6 თვის ყოველ პირველ რიცხვებში.

ტელეგრაფის ადრესი: მოსკოვი, «უტრო როსიი». ფოსტის ადრესი: Москва, Страстной бул., Путимковскій пер. домъ П. П. Рябушинскаго, контора газеты «Утро Россіи». (3—2)



# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

§§§§§§ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს აქვს კვირეული§§§§§§

# სურათებიანი დამატება

**გაზეთის ფასი დამატებიანა:** წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს **8** მან. **50** კ., ნახევარი წლით—**4** მან. **80** კაპ., ერთი თვით—**80** კაპ.

**ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური** ✦——

——✦ **დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.**

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

ქალაქ გარედ ხელის მოწერა მიიღება: ქუთაისში—ის. კვიცარიძესთან; ხონში—გიგლა მებუკესთან; გორში—სევ. შველიძესთან; ჭიათურაში სოფრომ ტარუაშვილთან.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

******ხელის-მომწერთა საყურადღებოდ******

კანტორა აცხადებს, რომ გაზეთის ყოველ მიუღებლობაზე ხელის-მომწერმა უნდა აცნობოს ხოლმე, რათა ყურადღება მიაქციოს გაზეთის წესიერად მიღებას.

„დროების“ კანტორა ღიაა ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 7 საათამ.

ადრესი რედაქციისა: Тифлисъ, редакція „Дроэба“, И. С. Аггладзе.